ნიკო კეცხოველი

ჯავლე ფრანგიშვილი

მონოგრაფია

„ხელოვნება“
1956

თავი პირველი

განვლილი წლების მოგონებანი

შავი ოქროს ქალაქს, ჰიათურას გაზაფხული ადრე ესტუმრება ხოლმე. უველაზე წინ უვირილის ხეობაში, მდინარის ნაპირებთან, მყუდრო ადგილებში ია და ენძელა ამოჰყოფენ თავს. მერე გადაიპენტება ატმის ხეები და უველა მცენარე იმოსება მწვანე ფოთლებით. საუცხოო სანახავია ამ დროს უვირილის ხეობა!

არანაკლებ ლამაზია აქ შემოდგომა. იმ დროს აქ ყოველ ნაბიჯზე გრძნობთ და ხედავთ შემოსული ჰირნახულის სიუხვეს. დიდი მგოსნის, აკაკი წერეთლის სამშობლო მხარე — საჩხერე თვალს იტაცებს ხილის ბარაქიანი მოსავლით, პურით, სიმინდით და განსაკუთრებით თავისი შესანიშნავი ღვინით.

და, აი ერთი ასეთი ბარაქიანი შემოდგომა იყო მაშინაც. შავი ოქროს ქალაქის მშრომელები დილიდანვე თავიანთი საყვარელი თეატრის წინ იდგნენ და ელოდებოდნენ — როდის გაიღებოდა სალარო, რომ ბილეთები შეეძინათ და ამ საღამოს თეატრში მოხვედრილიყვნენ.

თეატრის წინ მოზრდილ ფარზე გამოკიდებული იყო აფიშა, რომელიც საზოგადოებას აუწყებდა, რომ დღეს — 1953 წლის 26 ოქტომბერს, აკაკი წერეთლის სახელობის ჰიათურის სახელმწიფო თეატრში შედგება რესპუბლიკის სახალხო არტისტის, პავლე ფრანგიშვილის სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის საიუბილეო საღამო.

დღე დაილია. უკვე საღამოს რვა საათია. თეატრის დარბაზი ხალხით გაჰედილია. აქ არიან ჰიათურის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ქალაქის ინტელიგენცია, ჰიათურის მარგანეცის მაღაროების მოწინავე მუშები, ახლო-მახლო სოფლების

კოლმეურნეები, მოსწავლეები, ჰიათურის მშრომელები, თბილისიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსული სტუმრები.

აი, ფარდაც აიხადა. პრეზიდიუმის მაგიდა შემკობილია ცოცხალი ყვავილების თაიგულებით. მაგიდის მარჯვნივ ცალკე სკამზე ზის სამოცი წლის ღვაწლმოსილი ხელოვანი, ხვეული თმები ოდნავ რომ შევერცხლილი აქვს. მან ორმოცი წელი ქართული თეატრის განვითარებისა და მისი აყვავების საქმეს მოახმარა. იუბილარის პატივსაცემად დარბაზში გაისმის ტაშის გრიალი. იუბილარს ერთოჯ მღელვარება დაეტყო. ტაშის გრიალი ოდნავ ნელდება. მყუდროებას ქართული სცენის ძველი ვეტერანის, შალვა დადიანის ხმა არღვევს. იგი თავის სიტყვას ასე იწყებს:

— პავლე ფრანგიშვილის სახელი კარგად ცნობილია ქართული თეატრისათვის. ბუნებით — მკვირცხლი, ნიჭიერი და გამჭრიახი; შეხრებით — ხალხის მსახური ხელოვნების დარგში: საქმით — გარდა მსახიობისა, შესანიშნავი ორგანიზატორი დრამატული დასებისა და სეზონების შეუფერხებლად წამყვანი. ხასიათით — მუდამ ცეცხლოვანი, მუდამ აღფრთოვანებული ქართული თეატრის აღორძინებითა და წინსვლით.

და, აი, ასეთ კაცს წილად ხვდა ხანგრძლივად ემუშავნა საქართველოს ორ დიდსა და მეტად საგულისხმო ცენტრში: ძველთაგან სახელგანთქმულ ქალაქ გორში და ჰიათურის მაღაროების ცენტრში — ქალაქ ჰიათურაში, საქართველოს მუშათა კლასის ერთ-ერთ მძლავრ კერასთან.

ქართული თეატრი, როგორც უველგან, ჩვენს რესპუბლიკაში, ისე ამ ორ ქალაქში — გორსა და ჰიათურაში მეტად საპასუხისმგებლო ადგილებშია და კიდევ უფრო განსაკუთრებით მოწოდებულია იდგეს უსათუოდ მაღალ დონეზე. ამ დონის ამაღლებას მუდამ ხელს უწყობდა და უწყობს ჩვენი ძვირფასი იუბილარი პავლე ფრანგიშვილი. ამის დამამტკიცებელია ის, რომ მას თავის დასში მუდამ ჰყავდა და ჰყავს შემოკრებილი მაღალნიჭიერებით მადლმოსილი მსახიობები. მათი უნარი და ნიჭი ძვირფას პავლეს ხელში გაიფურჩქნა და დავაყკაცდა. ბევრი მათგანი კი ამჟამად ცნობილი არტისტი გახდა.

ამიტომ დიდია პავლე ფრანგიშვილის ამაგი ქართული თეატრის წინაშე და სწორედ ამიტომ არის, რომ მას არ აკლია ხალხში სახე-

ლი და პოპულარობა. მართალია მან კარგა ხანი მოითმა თავის საყვარელ საქმესთან, მაგრამ ის დღესაც ისე მოუღლელია და მოუწყინარი, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ. და სწორედ ეს არის საწინდარი იმისა, რომ ძვირფასი პავლე კიდევ მრავალ წელს იქნება ასეთი ენერგიული და საქმიანი, როგორც აქამდე იყო...

შალვა დადიანის სიტყვის დამთავრების შემდეგ დარბაზში კვლავ აგრიალდა ტაში. იუბილარს წითელ ყელსახვევიანმა მოსწავლეებმა ცოცხალი ყვავილების თაიგული მიართვეს. იუბილარმა ბავშვები მაჭაშვილურად სათითაოდ გადაკოცნა, და ისევ სკამზე დაჯდა. ბავშვები თმაშეუვერცხლილ ძია პავლეს გვერდში მოუსხდნენ. ისევ ტაშის გრიალი...

— პავლე ფრანგიშვილი დაიბადა თბილისში, — იწყებს მომხსენებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გ. ბუხნიკაშვილი, — მუშის ოჯახში. მამა მისი ხელობით კალატოზი იყო...

დარბაზში სიწყნარე ჩამოვარდა. ყველა ყურთასმენად არის გადაქცეული. ყველას აინტერესებს იცოდეს საყვარელი ადამიანის, ნიჭიერი ხელოვანის ცხოვრება და მოღვაწეობა. მათ აინტერესებთ იცოდნენ საიდან დაიწყო პავლე ფრანგიშვილმა თავისი შემოქმედებითი წინსვლა. ის ხომ ახლა მათ თავისი სასცენო მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე გაწეული სასახელო შრომის, ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის ანგარიშს აბარებს.

იუბილარი თითონაც ფიქრით წარსულში გადადის. მის გონებაში დაიწყო კინოლენტივით სერიებად დინება მისმა მოგონებებმა. აგერ მისი ბავშვობა, სკოლაში სწავლის პერიოდი, სცენაზე პირველად გამოსვლა, მისი მსახიობობა, რეჟისორობა და ბოლოს მისი ხელმძღვანელობით ორ თეატრში მუდმივი დასების შექმნა და ამ თეატრებში აღზრდილი მრავალი ადამიანები, რომლებიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სცენაზე მოღვაწეობენ.

იუბილარი თავის გონებაში გზადაგზა აღადგენს თავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებს. მაშ გავყვეთ ჩვენც მის ფიქრებს და გადავშალოთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის ფურცლები. მოვიხმაროთ ჟურნალ-გაზეთები და აგრეთვე ცოცხალი მოწმენი, რათა უკეთ დავადგინოთ ერთი მთლიანი სურათი ამ ადამიანის მოღვაწეობისა.

დავიწყოთ ისე, როგორც ყოველთვის იწყებენ ხოლმე — მცირედან, პატარიდან. დავიწყოთ პავლე ფრანგიშვილის ბავშვობიდან.

აი, თუნდაც ის დღე, როდესაც პავლემ და მისმა უფროსმა ძმამ პეტრემ თბილისის ყოფილი ანდრეევის, ახლანდელი ორჯონიკიძის ქუჩისა და ყოფილი ჟორესის, ახლანდელი კოტე მარჯანიშვილის ქუჩის კუთხის სახლის ეზოში შამას საქმელი მიუტანეს; მათი მამა, იაკობი აქ მშენებლობაზე მუშაობდა.

გაზაფხულის დილა იყო. ახლად ამოსული მზის სხივები ნაავდარ ქუჩებსა და სახლების სახურავებს აბრწყინებდა. პავლეს მამა ხარაჩოზე იდგა და ქაფჩით ახლად დადებულ აგურს ასწორებდა, თან თავისთვის ღიღინებდა.

საუზმის დრო მოტანებული იყო. იაკობი უკანასკნელ აგურს ასწორებდა, რომ ამ დროს ორმა ბიჭუნამ სახლის ეზოში შემოუხვია. ბავშვები ერთიმეორეს ეცილებოდნენ — არა მე წავიღებ სადილს და არა მეო. სადილი პატარა ქვაბით ძველებურ ბოხჩაში იყო გამოკრული. ბოლოს ბოხჩა პავლეს უფროსმა ძმამ გამოსტაცა ხელიდან და მამისაკენ გაემართა. პავლემ ეს ძალიან იწყინა და გაბრაზებულმა უფროს ძმას ფეხებში კენჭი ესროლა. კენჭი ასხლტა და სახლის პატრონის მურაბის ჩასასხმელად გამზადებულ ბოთლს მოხვდა, აივნის დირზე რომ იყო თავდაყირა დადგმული. ბოთლი მაშინვე ჩაიმსხვრა.

ხელოსანი ძალიან გაჯავრდა და რომ ვერაფერი მოახერხა, პავლეს ხარაჩოდან კირიანი ქაფჩა ესროლა. თან დაუყვირა — ეს რა ჩაიდინეო. პატარა პავლემ სლუკუნი ამოუშვა, ხოლო მისმა უფროსმა ძმამ, პეტრემ კი შეხედა რა გატეხილ ბოთლს, — მამაჩემი მეც არ გამიჯავრდესო, ქუჩისაკენ მოკურცხლა.

ხმაურზე სახლის პატრონი კარში გამოვიდა. ის მეტად კეთილშობილი ადამიანი გახლდათ. იგი იყო საშუალო ტანის კაცი, გახსნილი შუბლით, მეტად სიმპათიური თვალებით და კოხტად დაყენებული ულვაშებით. მან ბავშვს ხუჭუჭა თმაზე ხელი გადაუსვა და სახლისაკენ წაიყვანა. ამასობაში დიასახლისიც გამოსულიყო ეზოში. მანაც მიუალერსა ბიჭუნას, ხოლო სახლის პატრონმა დამარიგებელი კილოთი მიმართა იაკობს:

— როგორ შეიძლება, იაკობ, ბავშვის ასე დატუქსვა?! — და თან ორივემ ბიჭუნა სახლში შეიყვანეს და იქ ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

უფროსი ძმა პეტრე ამ დროს ქუჩის მეორე კუთხის ფანჯრიდან იჭყიტებოდა და ხედავდა პავლე როგორ იტკბანურებდა ტუჩებს.

პეტრემ იფიქრა — მე მეგონა პავლეს ერთი კარგად მიტყეპავდნენ, მას კი მურაბებით გაუმასპინძლდნენო, — და თითონაც მამისაკენ წამოვიდა.

— შენ სწავლობ ბიჭუნა? — შეეკითხა სახლის პატრონი ბავშვს.

— არა, შეჰოდგომაზე უნდა მიმაბარონ. — იყო პასუხი. სახლის პატრონი თავის სამუშაო ოთახში შევიდა, იქიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ გამოიტანა და ბავშვს გადასცა.

— აჰა, წაიღე ეს წიგნი და კარგად ისწავლე. სამშობლოს გამოადექი, არასოდეს არ დაივიწყო ქვეყნისადმი მოვალეობა...

თვალებგაბრწყინებულმა ბავშვმა წიგნი გულში ჩაიხუტა და წამსვე გახარებულმა ეზოსაკენ მოკურცხლა.

სახლის პატრონი გახლდათ ქართული ლიტერატურის დიდი კლასიკოსი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, ხოლო დიასახლისი მისი ერთგული მეუღლე ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა. პატარა შავტუხა გრუზათმიანი ბიჭუნა კი პავლე ფრანგიშვილი იყო — დღევანდელი ქართული თეატრის უანგარო მოღვაწე-რეჟისორი, მსახიობი და მისი უებრო ორგანიზატორი.)

პავლეს მამა იაკობი მშრომელი და ზედმიწევნით პატიოსანი ადამიანი იყო. იგი თავისი საკუთარი მარჯვენით არჩენდა ოჯახს. მისი კალატოზობა განთქმული იყო არა მარტო წყაროს უბანში, სადაც იგი ცხოვრობდა, არამედ სხვა უბნებშიაც და მთელ ქალაქშიც. ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ დიდი ილია ყოველთვის იაკობს ანდობდა, როცა რაიმე საამშენებლო ჰქონდა. ილია მას იცნობდა როგორც სპეტაკ ადამიანს და კარგ ხელოსანს. დიდმა ილიამ იაკობი შემდეგში საგურამოშიაც მიიწვია სახლის მშენებლობაზე, ხოლო, როდესაც საკითხი დაისვა მცხეთის სვეტიცხოველის ტაძრის რესტავრაციის შესახებ, ილიას რჩევით იაკობიც იქნა მიწვეული.

ფრანგიშვილის ოჯახში დიდხანს ინახებოდა ილიას მიერ ნაჩუქარი ერეკლე მეფის, გიორგი სააკაძისა და თამარ მეფის პორტრეტები.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ფრანგიშვილების ოჯახი ცნობილი იყო წყაროს უბანში. იაკობი საკმაოდ მაღალკვალიფიციური ოსტატი-კალატოზი იყო. მეუღლე მისი ეფემია საგინაშვილი მართალია დიდად განათლებული ქალი არ იყო, მაგრამ შესანიშნავი დიასახლისი და ბავშვების უებრო აღმზრდელი გახლდათ. ეფემიას დიდ

პატივს სცემდნენ მისი მეზობლები. უფრო მეტი — აქაური მცხოვრებნი ეფემიას მეტ .სახელად წყაროს უბნის დედას უწოდებდნენ.

იაკობის ოჯახი შედგებოდა ცხრა სულისაგან. მეუღლე ეფემია, ქალები — მარო, ვერა და მარგარიტა. ვაჟები — პეტრე, სანდრო, კოტე და ყველაზე უმცროსი კი პავლე იყო. წყაროს უბნის ეზოებში ყოველთვის დიდი მხიარულება იდგა. პავლეს სამივე დები შესანიშნავად მღეროდნენ. ისინი ხან ეზოში, ხან სახლში დამღეროდნენ გიტარას. პავლეც გაფაციცებით შეჰყურებდა დებს, ხან კი თითონაც ჩაერეოდა ხოლმე სიმღერაში. შესაძლებელია ამანაც იქონია გავლენა პავლეს მუსიკალურ ნიჭსა და უნარზე, რასაც შემდეგში დავინახავთ.

პავლე ფრანგიშვილი დაიბადა 1897 წლის 5 ოქტომბერს, კუკიის ანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებდნენ — წყაროს უბანში. რვა წლამდე პავლე სახლში იზრდებოდა დედის — ეფემიას მეთვალყურეობით. იგი სიმღერაში ბაძავდა თავის დებს, ხოლო წარმოდგენების მართვაში — თავის უფროს ძმას, პეტრეს.

პავლეს უფროსი ძმა პეტრე იმ ხანად შეღერებული ყმაწვილი იყო და ავჭალის მუშათა აუდიტორიის მუშა-სცენისმოყვარეებთან გამოდიოდა სცენაზე. პეტრე, რასაც თეატრში წარმოადგენდნენ, მაშინვე იმასვე გაიმეორებდა ხოლმე თავიანთ ეზოში მეზობელ გოგო-ბიჭებთან, რაშიაც პავლეც მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ავჭალის აუდიტორიის მუშათა დრამატულ წრეს იმ დროს ხელმძღვანელობდა ჩვენი გამოჩენილი პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი. ამ დრამწრეს იმ დროს საკმაო სიყვარული ჰქონდა მოხვეჭილი რკინიგზის მუშა-მოსამსახურეებში და თბილისელ ეგრეთ წოდებულ „დაბალ“ ფენებში. ი. გრიშაშვილი ფრანგიშვილების ოჯახთან ახლოს იყო, იგი მეგობრობდა პავლეს დას — მაროს. გრიშაშვილმა მალე შეატყო პავლეს თეატრით გატაცება, ამიტომ მან პავლე ფრანგიშვილი თავის სცენისმოყვარეთა რიგებში მიიღო. პატარა პავლეს იყენებდნენ პირველ ხანებში გასაგზავნ-გამოსაგზავნად, აზიდინებდნენ სცენისათვის საჭირო ნივთებს — რეკვიზიტს: მუთაქებს, ხალიჩებს, წყლის გრაფინს და სხვა სარეკვიზიტო ნივთებს. პავლეც დაუზარებლად დარბოდა. იგი თავისთავს ბედნიერად სთვლიდა, რადგან თეატრში მოხვდა.



პ. ფრანგიშვილი



ქართული დრამატული საზოგადოების დრამატული კურსების მასწავლებლები და მსმენელები

პავლე ფრანგიშვილს აქედან შთაენერგა თეატრისადმი სიყვარული, ამიერიდან გადაწყვეტილი აქვს რადაც არ უნდა დაუჯდეს, მსახიობი უნდა გახდეს. პავლე დიდი გაფაციცებით უყურებს ყველას, იგი ყველაფრით იყო დაინტერესებული, რაც მაშინ თეატრში ხდებოდა. მალე პავლეს გამოყვანაც დაიწყეს სცენაზე, ზოგჯერ უსიტყვო, ხოლო ზოგჯერაც მასობრივ სცენებში.

მაგრამ ბავშვს სწავლაც ხომ სჭირდებოდა. მართალია წერა-კითხვა პავლეს მისმა დამ მარომ შეასწავლა სახლში, თვით პავლე გატაცებით კითხულობს პატარა-პატარა მოთხრობებს „დედა ენაში“, რომელიც დიდმა ილიამ უსახსოვრა, მაგრამ სკოლა მაინც საჭიროა. ამას გრძნობენ მისი მშობლები და აი, პავლეს, როდესაც რვა წელი უსრულდება, შეჰყავთ თბილისის სამრევლო სასწავლებელში, სადაც პავლე დიდი ენთუზიაზმით იწყებს სწავლას.

სხვათა შორის ამ სასწავლებლის დირექტორი იმხანად იყო ქართული თეატრის მოღვაწის ანეტა ქიქოძის მამა, გერასიმე ქიქოძე, კაცი მეტად განათლებული, დიდი პატრიოტი ქართული კულტურისა, წევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების აქტიური მონაწილე. ამავე სკოლაში სიმღერის მასწავლებლად იყო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი.

პავლე სკოლაში კარგად სწავლობდა. გარდა ამისა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ თვითმოქმედ წრეებში. მას არც ერთი საბავშვო დილა თუ საღამო არ გამოუტოვებია. მონაწილეობდა მომღერალთა გუნდში, გამოდიოდა ლექსების კითხვით. პავლეს ძლიერ უყვარდა რაფიელ ერისთავის — „სამშობლო ხევსურისა“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ კითხვა. იგი კითხულობდა დიდი განცდით და ოსტატობით. ამიტომ ბევრჯერ უთქვამს გერასიმე ქიქოძეს — შენ უეჭველად არტისტი გამოხვალო...

პავლე ფრანგიშვილი სკოლაში სწავლასთან ერთად უფრო მეტად გაიტაცა თეატრმა, სასცენო ხელოვნებამ. მალე პავლე უსიტყვო როლებიდან უფრო დიდ როლზე გადადის. პავლეს თეატრში მოყვანის ინიციატორს ი. გრიშაშვილს პავლე გამოჰყავს ვ. გუნიას — „და-ძმაში“ — ოტია ჯოლიას ბიჭის როლის შემსრულებლად, ხოლო სულ მალე კი ალ. ყაზბეგის „არსენაში“ — სირაჯის ბიჭის როლში. პავლე ახლა უკვე გაწაფულია სცენაზე.

მას თავისუფლად უჭირავს თავი და ზუსტად ასრულებს რეჟისორის მითითებებს. პავლემ ეს სადებიუტო როლები ბრწყინვალედ ჩააბარა და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას თეატრის მოწოდება აქვს, რომ იგი ნიჭიერი ხელოვანი გამოვა, ხოლო ამისათვის საჭიროა დახმარება და ხელშეწყობა, რათა უფრო მეტად გაიფურჩქნოს მისი სასცენო ნიჭი.

პავლე ფრანგიშვილმა სამრევლო სკოლა 1911 წელს დაამთავრა და თეატრში მუშაობას გატაცებით შეუდგა. მაგრამ, დახეთ, მას გზას უღობავენ თეატრალური ხელოვნებისაკენ, ფოსტის ჩინოვნიკად გახდომას უპირებენ. აი, ეს როგორ მოხდა: იმ ხანებში პავლეს სიძე გიორგი სუმბათაშვილი, რომელიც რკინიგზაზე სადგურის უფროსად მსახურობდა, სამსახურში არმავირში გადაიყვანეს. გიორგიმ თავისი ცოლშვილიც თან წაიყვანა. გიორგიმ გადასწყვიტა პავლეც თან წაეყვანა და იქ ტელეგრაფისტობა ესწავლებინა. სხვათა შორის, ამას პავლეს დედა ეფემიაც უწყობდა ხელს. ეფემია ამბობდა: არტისტობა რა ხელობაა, ცოლშვილი მშიერი ამოგიწყდება, ტელეგრაფისტობა ისწავლე, ის მაინც ხელობა არისო...

მაგრამ ზოგი პავლეს ჰკითხეთ! მას ხომ გული და სული თეატრისაკენ აქვს. მან ხომ რამდენიმე როლიც ითამაშა და კარგი შეფასებაც მიიღო მაყურებლებიდან. თეატრს როგორ-ღა მიანებებს თავს? პავლე და ტელეგრაფისტი! არა, ეს არ მოხდება. პავლეს უნდა მსახიობი გამოვიდეს და გამოვა კიდეც!..

გამწარებული პავლე თავის გასაჭირს ისევ გრიშაშვილს შესჩივლებს.

— ბიჭო, ტელეგრაფისტობა რა შენი საქმეა? თუ აღარ დაგიშლია, დრამატულ კურსებზე შედი, იქ მაინც თეატრის რაღა-რუმეებს ისწავლიო, — შეუტევს თვითონ თეატრის მოყვარე ი. გრიშაშვილი. ეს იყო და ეს. პავლეს სიტყვა ტელეგრაფისტის მოსმენაც აღარ უნდა. დრამატული კურსების ხსენება მას მოსვენებას აღარ აძლევს. მას უფრო გაუათკეცდა თეატრისადმი სიყვარული, თეატრი უკვე მეორე ოჯახად მიაჩნია. ახლა მისი ოცნებაა, როგორმე მოხვდეს დრამატულ კურსებზე...

თავი მეოთხე

დრამატული კურსების მოსწავლე

პავლე ფრანგიშვილის ოცნება მალე განხორციელდა. იმავე ი. გრიშაშვილის დახმარებით ავჭალის მუშათა აუდიტორიის დრამატული დასი პავლეს გზავნის დრამატულ კურსებზე.

აღნიშნული დრამატული კურსები იმ დროს არსებობდა ქართულ დრამატულ საზოგადოებასთან. კურსების მიზანი იყო ქართული თეატრისათვის ღირსეული ცვლის მომზადება. როგორც ცნობილია, ქართული დრამატული საზოგადოება ხელს უწყობდა და წარმართავდა ქართული თეატრის მუშაობას, ეხმარებოდა აგრეთვე დრამატულ კურსებსაც.

მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მეთაურობით 1879 წლიდან ქართული თეატრი განახლების გზას დაადგა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების მქადაგებლად გადაიქცა, ქართული დრამატული საზოგადოების მოღვაწეობა უფროდაუფრო ნაყოფიერი გახდა. მის გარშემო თავს იკრებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ინტელიგენცია.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათთან ერთად მაშინდელი პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები დიდად აფასებდნენ რევოლუციურ-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და აგრეთვე რუსული რეალისტური თეატრის ფუძემდებლების — გოგოლის, შჩეპკინის, ოსტროვსკის, მოჩალოვისა და სხვათა შესანიშნავ ტრადიციებს.

მე-19 საუკუნის დიდი კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მეთაურობით საქართველოში არსდება ქართული დრამატული საზოგადოება, რომელსაც სხვადასხვა დროს სათავეში უდგებიან თვით ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გ. თუმანიშვილი, ნიკო ქართველიშვილი და სხვ.

დრამატულ საზოგადოებასთან ილიასა და აკაკის მეთაურობით თავს იყრიან ჩვენი ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და პირველ რიგში, ქართული კულტურის გულშემატკივარნი — ქართული თეატრის მოღვაწენი. საზოგადოება ზრუნავს და ხელს უწყობს ქართული თეატრის განვითარების საქმეს, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში არსდება ადგილობრივი დასები, რომელთა საშუალებითაც ხდება მასების გათვითცნობიერება, მათში კულტურის შეტანა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი სულისკვეთების შთანერგვა. ამავე დროს პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია ებრძვის რეაქციულ ბურჟუაზიას.

ქართულ დრამატულ საზოგადოებასთან არსებულ დრამატულ კურსებზე შესვლის დროს პავლე ფრანგიშვილს იქ დახვდნენ ქართული თეატრის დიდი მოღვაწენი: ლადო მესხიშვილი, ვ. გუნია, იაკობ ნიკოლაძე, ნიკო სულხანიშვილი და სხვები. ლადო მესხიშვილის სახელი მეორე ჩვენი თანამემამულის—ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის სახელთან ერთად განთქმული იყო მთელ რუსეთის იმპერიაში. მესხიშვილი, ილია ჭავჭავაძისა და დ. ერისთავის პოწვევით ქართულ თეატრს დაუბრუნდა და რუსული რეალისტური თეატრის ტრადიციებზე აღზრდილმა შემდეგში ქართულ თეატრს დიდი ღვაწლი დასდო. 1905 წელს ქუთაისში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის პარპაშის დროს, რომელიც რევოლუციურ ხალხს ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა, ლადო მესხიშვილმა თეატრის მთელი დასით ბარიკადები აღმართა და მეფის სისხლიან დროშას რევოლუციური წითელი დროშა შეაგება, თანაც შესძახა — „თუ საჭიროება მოითხოვს, გვერდით ამოვიყენებთ ჩვენ ცოლშვილსაც, თუ ჩვენ დავიხოცებით, ქვეყანა წარმოშობს მომავლის გმირებს, რომელნიც უეჭველად გამარჯვებას მოუპოვებენ ხალხსაო“.

დრამატულ კურსებზე პრაქტიკულად ამეცადინებს პავლე ფრანგიშვილს ქართული თეატრის მეორე დიდი მოამაგე ვალერიან გუნია, რომელიც მხარში უდგას ლადოს, კურსებზე ახალგაზრდა თაობის გამოსაზრდელად.

ქართული თეატრის რეჟისორმა, მსახიობმა, დრამატურგმა, მთარგმნელმა და თეატრის უებრო ორგანიზატორმა ვალერიან გუნიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა პავლეზე, რომელიც გულში და ტვინში იბეჭდავდა გუნიას თვითეულ სიტყვას.

თუმცა კურსები ორწლიანი იყო, მაგრამ აქ ისეთი საგნები

იკითხებოდა, რომ თუ კი მსმენელს ოდნავი უნარი გააჩნდა სათეატრო ხელოვნების დარგში, იგი უსათუოდ მიაღწევდა მიზანს. პავლე ფრანგიშვილსაც ხომ ეს მიზანი აქვს—გახდეს ქართული თეატრის მსახიობი. შემდეგ... შემდეგ ვნახოთ — იქნებ რეჟისორიც... თეატრის კარგი ორგანიზატორიც!.. ლადო მესხიშვილისა და ვალერიან გუნიას მოღვაწეობას აკვირდებოდა ის ყოველდღიურად და სწავლობდა მათგან. ისინიც ხომ მსახიობებიც არიან, რეჟისორებიც, თეატრის ორგანიზატორები. მაშ რატომ არ უნდა მიბაძოს მასწავლებლებს!?..

კურსებზე პავლეს მსახიობის ოსტატობას ასწავლის ლადო მესხიშვილი, ქართულ ენას — ცნობილი ლიტერატორი სერგო გორგაძე, ხატვას — შემდეგში ცნობილი სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. მუსიკას — ნიჭიერი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, ცეკვას — ქართული სცენის სიამაყე ელ. ჩერქეზიშვილი და დიდმა აკაკიმაც ხომ წაიკითხა კურსებზე ორი ლექცია — „სცენაზე ქართული ენის სიწმინდის შესახებ“ და „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო. რა ანსაბლია! მოდი და ნუ ისწავლი კაცი!

გაათკეცებული ყურადღებით უსმენს პავლე ფრანგიშვილი ქართული ლიტერატურისა და სცენის კორიფეების თვითეულ სიტყვას. მას ჯერ კიდევ ყურებში უწივის დიდი ილიას სიტყვები — ისწავლე, სამშობლოს გამოადექი!... ახლა კი დიდი ილიას თანამოკალმე აკაკიც ხომ აქ არის, ლადო მესხიშვილიც, ვ. გუნიაც, ი. ნიკოლაძეც, ნ. სულხანიშვილიც... დიახ, პავლე ისწავლის, კარგად ისწავლის. ყველაფერს გააკეთებს თავის სამშობლოსათვის, ხალხისათვის, ქართული თეატრისათვის!..

პავლე ფრანგიშვილის მასწავლებელი და აღმზრდელი, ლადო მესხიშვილთან და ვალერიან გუნიასთან ერთად, ვალერიან შალიკაშვილიც არის. ქართული თეატრის ამ ბუმბერაზებმა დიდი გავლენა მოახდინეს პავლე ფრანგიშვილის შემდგომ შემოქმედებით მუშაობაზე და სათეატრო მოღვაწეობაზე.

— ვალერიან გუნია, — წერს თავის მოგონებებში პავლე ფრანგიშვილი, — მეტად მომთხოვნი ადამიანი იყო. იგი ვერ იტანდა უსაქმოდ მოყიალე ახალგაზრდას, ვერც ისეთ ახალგაზრდას,

რომელიც თვითგანვითარებას არ ეტანებოდა და წიგნებს არ კითხულობდა. ვ. გუნია სისტემატურად მაძლევდა წიგნებს წასაკითხად, ხოლო უკან დაბრუნებისას აუცილებლად მკითხავდა — როგორ მოგეწონათ და შემდეგ მოკლე შინაარსს მაამბობინებდა იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო მართლა წაკითხული მქონდა თუ არა.

ვ. გუნიას ძალიან უყვარდა ახალგაზრდა მსახიობებთან საუბარი ძველი ბერძნული თეატრის ისტორიაზე, ქართველ გამოჩენილ მსახიობებზე, ქართული თეატრის ისტორიაზე და საერთოდ ხელოვნების საკითხებზე.

როგორც პავლე ფრანგიშვილი წერს თავის მოგონებებში, გამოჩენილ ქართველ მსახიობს და ნიჭიერ რეჟისორს ვ. შალიკაშვილს დიდი გავლენა მოუხდენია ახალგაზრდა პავლეზე.

— პირველად ვნახე ქართულ სცენაზე ისეთი რეჟისორი, როგორიც ვ. შალიკაშვილი იყო. — წერს პავლე ფრანგიშვილი. — რა შესანიშნავად ხსნიდა მოქმედ პირთა ხასიათებს, როგორი დაკვირვებითა და ოსტატობით განვარტავდა ხოლმე პიესის რეჟისორულ მიზანდასახულობას!.. არასოდეს ზერელედ, ან შემთხვევით არაფერს არ აკეთებდა, ყველაფერი განცდილი და შესწავლილი ჰქონდა. როგორც მსახიობი ხომ პირდაპირ შეუდარებელი იყო თავისი სისადავით, უშუალობით და უბრალოებით. რეჟისორობა პირველად ვ. შალიკაშვილმა შემაყვარა და მომცა ბიძგი ხელოვნების ამ რთული დარგისათვის მომეკიდა ხელიო.

პავლე ფრანგიშვილმა 1913 წელს დაამთავრა აღნიშნული კურსები. მისი საგამოცდო სპექტაკლი „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, რომელშიაც ორ როლს ასრულებდა — პოლისა და გასტონისას, — ბრწყინვალედ ჩატარდა და პავლე ჩარიცხეს ქართული თეატრის მსახიობად იმ თეატრში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ: ლადო მესხიშვილი, ვ. გუნია, ვ. შალიკაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი და სხვ. ასე წარიმართა პავლე ფრანგიშვილის ცხოვრების გზა. იგი ფოსტის კანტორის მაგივრად ხვდება ქართულ თეატრში.

თავი მესამე

პირველი ნაბიჯი

პავლე ფრანგიშვილი, გარდა იმისა, რომ იგი ახლა ქართული დრამატული თეატრის მსახიობია, აქტიურ მონაწილეობას იღებს როგორც სხვადასხვა საჯარო ლიტერატურულ საღამოებში და კონცერტებზე, აგრეთვე მუშათა თვითმოქმედ დასებში — ნაძალადევის, საბურთალოს, ავლაბრის, ხარფუხისა და სხვა მუშათა კლუბების დრამწრეებში.

— ერთხელ ავლაბარში, ე. წ. მურაშკოს თეატრში ვთამაშობდით „ღალატს“, — იგონებს ქართული თეატრის დიდი მოყვარე, იმ დროის მუშათა დრამატული დასების აქტიური მონაწილე მიხეილ ხერხეულიძე, — წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, პავლე დიდი გაქანებით ასრულებდა ერეკლეს როლს. ხოლო რადგან ქალები ნაკლებად გვყავდა, ისახარის როლი შეასრულა აწ განსვენებულმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მიხ. სარაულმა. საღამოს კარგა ჩაიარა. დავიშალენით, მაგრამ როგორც კი ქუჩაში გამოვედით, უეცრივ ატყდა სროლა. მთელი დასი იქვე ღვინის სარდაფში ჩავცვივდით.

როცა წამოსვლა დავაპირეთ, ვნახეთ გ. გელიკურაშვილი აღარ არის. დავიწყეთ მისი ძებნა, ყველამ ვიცოდით, რომ ისიც ჩვენთან ერთად ჩამოვიდა, მაგრამ სად წავიდა, არავინ იცოდა. დავიწყეთ ძებნა და რას ნახავ! გიორგი წამოწოლილა ერთ-ერთი ღვინით სავსე კასრის გვერდზე და რეზინით ექაჩება კახურ ღვინოს. ჩვენ გაკვირვებაზე, თუ რას ჩადიხარო, — მან წყნარად გვიპასუხა:

— აბა რა, უზიარებლად მომკლან!

იგივე ხერხეულიძე იგონებს მეორე ეპიზოდს, რომელიც პავლესა და თვით ხერხეულიძეს შეემთხვათ.

1914 წელს ქართულ სახალხო თეატრში, ყოფილ ზუბალაშვილების სახლში გაჰართული იყო დიდი ლიტერატურული საღამო. ამ საღამოზე, — წერს ვ. ხერხეულიძე, — ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. პავლემ ჯერ ურმული იმღერა, შემდეგ კი მიაყოლა ბ. ახოსპირელის რევოლუციური ლექსი „დე, დაბნელდეს“. მე კი წავიკითხე ჩემი საკუთარი ლექსი „კაკარდა“. რა თქმა უნდა, ორივე ლექსი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. რამდენიმე ხნის შემდეგ პოლიციაც შემოვარდა ჩვენს დასაპატიმრებლად. ვინაიდან პავლესაც და მეც ორივეს წითელი ხალათები გვეცვა, ხან ერთს მოგვარდნენ და ხან მეორეს, მაგრამ ჩვენ ორივე უარზე ვიყავით. რომლისთვის წაეკლოთ ხელი, აღარ იცოდნენ. ამასობაში ხალხმა გზა გადაუღობა პოლიციელებს და ჩვენ კი კულისებიდან გაგვაპარეს.

პავლე ფრანგიშვილი თბილისის საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი ხდება, იგი გულმოდგინედ ჰეშაობს თავისთავზე. ლადო მესხიშვილის მიბაძვით პავლე ჯერ კიდევ კურსებზე ყოფნის დროს, ზაფხულში, როცა დათხოვნილი იყო, ადგენს მცირე მოძრავ დასს და წარმოდგენების გასამართავად მიდის ქარელის რაიონში.

აი, რას სწერს ია ეკალაძის რედაქტორობით გამოსული გორის გაზეთი „ქართლი“ თავის 1912 წლის. 26 აგვისტოს ნომერში:

„კვირას, 26 მარიამობისთვეს ს. ქარელში, ადგილობრივ და თბილისის ქართულ დრამატულ სცენისმოყვარეთა მიერ პავლე ფრანგიშვილისა და მარიამ ციციშვილის თაოსნობით ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი. წარმოადგინეს ვალ. გუნიას „და-ძმა“. პიესამ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით მშვენიერი იყო პავლე ფრანგიშვილი გაიოზის როლში.

— კარგები იყვნენ თავიანთ როლებში ქ-ნი ნ. ხოზბეროვისა (მარინე), ქ-ნი ნ. სუმბათოვისა (გადია), ბ-ნი ძნელაძე (ფაშა), ტ. ტოგონიძე (ოტია) და სხვ.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწროო, — სწერს ვინმე ბებნისელი გლეხი.

სხვათა შორის არც აქამდე იყო ეს მხარე პავლესათვის უცნობი. ფრანგიშვილების ოჯახის წევრები ზაფხულობით ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე ქარელში პავლეს სიძის — ჩვენი ნიჭიერი

მხატვარ-დეკორატორის იოსებ სუმბათაშვილის შვილს, გიორგი სუმბათაშვილის ოჯახს.

გიორგი სუმბათაშვილი და ქართული თეატრის ნიჭიერი მსახიობი გიორგი არადელ-იშხნელი ნათესავები იყვნენ. ამიტომ იშხნელები ხშირი სტუმრები იყვნენ ხოლმე ამ ოჯახის. ეს ორი ოჯახი ხშირად იკრიბებოდა დროს გასატარებლად სოფ. არადეთში.

პავლეს ძლიერ უყვარდა გიორგი არადელ-იშხნელი. ამიტომ იყო, რომ გიორგის უდროოდ გარდაცვალებამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პავლეზე. პავლემ ქართულ ნიჭიერ მსახიობს ხსოვნას ასეთი ლექსი უძღვნა:

ჩაქრა ლამპარი! მუხანათ ბედმა,
შთანთქა ქართველთა წმინდა მოძღვარი,
მოგვიკლა იგი. აღარ არსებობს...
ზეცამ ჩამოჰკრა გლოვისა ზარი.

შეწყდა სიმღერა, ჩანგს სიმი მოწყდა,
კლდე გადაინგრა, ამაყად მდგარი,
გაჰქრა ის წუთი, ის ნეტარება,
აღარ არსებობს, ქურუმთ მთავარი!

შემდეგ წლებში პავლე თავისი მცირე დასით მეორედ ეწვია ქარელს, მაგრამ ამჯერად მისი „გასტროლები“ უშედეგოდ დამთავრდა.

წარმოდგენას ვმართავდით ქარელში, — აღნიშნავს ამ დასის ერთ-ერთი მონაწილე, სახალხო თეატრის ძველი სცენისმოყვარე გ. ყანჩაველი, — ვდგამდით ალ. ყაზბეგის „არსენას“, სადაც არსენას როლს თვით პავლე ფრანგიშვილი ასრულებდა. თავადი ც-ი შეგვპირდა: ფულს მე მოგცემთ, წარმოდგენა უფასოდ ულჩვენეთო. ჩვენც დავთანხმდით. გადის დრო, წარმოდგენა უნდა დავიწყოთ. თავადი, ვატყობთ, არაფერს გვაძლევს, ჩვენც მთელ დღეს მშივრები ვართ. რახან თავადი აინუნშიაც არ იყო, ჩვენც ავდექით და ბილეთების გაყიდვა ნატურაზე დავიწყეთ — გამოვცხვარ პურზე, კვერცხებზე, შემწვარ ქათმებზე... ამ დროს საიდანღაც მოვარდა ღვინით გალეშილი თავადი და აგვიჯანყა მაყურებლები — თქვენ

გატყუებენ, გძარცვავენ და მეტი არაფერიო. როდესაც ჩვენ, თანახმად მისი შეპირებისა, — აბა, მაშ ფული მოგვეცითო ვუთხარით, — თავადმა ეს იუკადრისა და უარიც გვტკიცა, თანაც გამოგვეკიდნენ თავადის ზოგიერთი მომხრეები. ასე რომ ჩვენი დახი ფეხით სოფელ-სოფელ სიარულით ძლივს ჩამოვიდა გორამდე.

პავლე ფრანგიშვილს ძალიან უყვარდა არსენას როლის შესრულება. იგი მეტისმეტად იყო გატაცებული ამ კეთილშობილი გმირით და კარგადაც თამაშობდა მას. პავლე ამ როლს, გარდა იმისა, რომ ასრულებს სხვადასხვა თეატრების სცენაზე, ხშირად იმეორებს თავის პირვანდელ აუდიტორიაშიც — თავის ეზოს მოსახლეობაში, სადაც მან თვითონ პირველად დაიწყო წარმოდგენების მართვა — თავის უფროს ძმა პეტრესთან ერთად.

ერთხელ პავლე მორიგ წარმოდგენას უმართავდა თავის მცირე, ე. ი. ეზოს აუდიტორიას, — დასძენს იგივე მიხეილ ხერხეულიძე, — ვთამაშობდით „არსენას“. რადგან შემსრულებლები ცოტა გვყავდა, პირველ მოქმედებაში მე ვთამაშობდი მოურავის როლს, მეორეში — გლეხისას და მესამეში კი — სირაჯის როლს. მე, რა თქმა უნდა, დიდი ბუცლის გამოსაჩენად ბალიში მქონდა შემოდებული გუმბათიანი ვერცხლის ქამრის ქვეშ. როდესაც პავლე — არსენა გადმომიხტება წინ და ელვარე თვალებს დამიბრიალებს და თან ქამარს შემომხსნის, ცხადია, ბალიშიც ძირს დამივარდება, მაყურებლებმა ამის დანახვაზე ხარხარი მორთეს!..

1914 წელს ქართული თეატრის ცნობილმა მოღვაწემ და პავლეს ბასწავლებელმა ვალერიან გუნიამ პავლე ფრანგიშვილი სალიტერატურო საღამოზე მოიწვია, სადაც პავლე ლექსების კითხვით გამოვიდა, ამის შემდეგ გუნიამ იგი თავის დასში მიიწვია და პავლემ მასთან მთელი სეზონი გაატარა; თბილისის ქართული დრამატული დასის მსახიობთა ამხანაგობა ვ. გუნიას თაოსნობით 26 მაისიდან წარმოდგენებს მართავს — გორს, ყვირილას, ჭიათურას, ქუთაისს, ხონს, სამტრედიას, სენაკს, ფოთს, ბათუმს, ოზურგეთს, ლანჩხუთსა და შორაპანსო — წერს ურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თავის 1914 წლის № 12-ში.

ამ დასში მოწვეულები იყვნენ ქალებიდან — ტასო აბაშიძე, მარო მდივანი და ნატალია ჯავახიშვილი. მამაკაცებიდან იყვნენ თვითონ ვ. გუნია, დ. მგალობლიშვილი, ი. მამფორია, მიხ. სარაუ-

ლი, პ. ფრანგიშვილი, ალ. ყალაბეგიშვილი, ვ. შალიკაშვილი და ვ. ურუშაძე. მათ რეპერტუარში შედიოდა „დედოფალ ქეთევანის წამება“, „მუშის პატიოსნება“, „ოჯახის განადგურება“ და სხვა პიესები.

როგორც ამავე ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების“ ინფორმაციებიდან ირკვევა, აღნიშნულმა დასმა მართლაც შემოიარა ზემოთ ჩამოთვლილი რაიონები და დიდი წარმატებითაც მიდიოდა მათი სპექტაკლები. ამ სეზონში პავლე ფრანგიშვილი გამოდიოდა თითქმის ყველა სპექტაკლში და შეასრულა: „სინათლეში“ — კარისკაცი, „სამხედრო ბანაკში“ — შიკრიკი, „არსენაში“ — თედო, „ვიდრე ხვალ უფალოში“ — კონსული, „მარიამ სტიუარტში“ ექიმი, „ოტელოში“ — ოფიცერი, „ღალატში“ — ალრაზაკი და ყარა იუსუფი, „ყაჩაღებში“ — რაცმანი და სხვა როლები.

1914-15 წლების სეზონში პავლე ფრანგიშვილს ჩვენ ვხედავთ ქართული დრამატული საზოგადოების ქუთაისის დასში, რომელსაც ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობს. ქუთაისის დასში რეჟისორებად მუშაობდნენ ლადო მესხიშვილი და ვ. შალიკაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომი დაწყებული იყო და თეატრს მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, ქუთაისის დასმა სეზონი მაინც ნაყოფიერად დაამთავრა.

— ლადო მესხიშვილი, — წერს თავის მოგონებაში პ. ფრანგიშვილი, — ჩემი შთაგონების წყარო იყო, ის ხომ ჩემი ხელმძღვანელი იყო დრამატულ კურსებზე. მან შემაყვარა თეატრი, მან დააგვირგვინა ჩემი სურვილი გავმხდარიყავი მსახიობი, რომ მაყურებელთა სიყვარული და სიმპატიები დამემსახურებინა. ამიტომ იყო, რომ როგორც კი ლადო მესხიშვილი ქუთაისში გადავიდა, მეც მაშინვე მას წავყევი...“

დიდი აღტაცებით და გულმოდგინებით მუშაობდა პავლე ფრანგიშვილი თავის საყვარელ მასწავლებელ ლადოსთან. სხვათა შორის ამ სეზონში ქუთაისის დასში მოსკოვიდან ახლად ჩამოსულმა აკაკი ფალავამ დადგა შექსპირის „ჰამლეტი“. პავლე ფრანგიშვილმა „ჰამლეტში“ წარმატებით შეასრულა როზენკრანცის როლი. მაშინდელი გაზეთები ეხებოდნენ რა ამ დადგმას, მაღალ შეფასებას აძლევდნენ ლადო მესხიშვილს (ჰამლეტი), და ორ ახალგაზრდა მსახიობს — პავლე ფრანგიშვილს (როზენკრანცი) და ლ. თუხარელს (გილდენსტერნი).

პავლე ფრანგიშვილმა თავისი ენერგიული და ბეჯითი შრომით მართლაც დაიმსახურა სიყვარული ქუთაისის საზოგადოებაში. ამიტომაც 1915 წლის 10 თებერვალს პავლეს საღამოს მრავალი ქუთაისელი დაესწრო. აღნიშნულ საღამოზე მოხსენება — „სასცენო ხელოვნება“ — წაიკითხა აკაკი ფაღავამ. ამავე საღამოზე მონაწილეობა მიიღეს შალვა დადიანმა, ია ეკალაძემ, პოეტმა ვარლამ რუხაძემ, ვ. გელოვანმა, რომელმაც რომანსები იმღერა, ხოლო თვით პავლე ფრანგიშვილმა თავისი „ურმულით“ და სხვა სიმღერებით მოალხინა ქუთაისელი მსმენელები.

ჩვენ უკვე ვთქვით დასაწყისში, რომ პავლე ფრანგიშვილი ბავშვობის დროს კარგად მღეროდა, ცხადია, ეს მისი შესანიშნავი სმენის შედეგი იყო, რომელიც მას აღმოაჩნდა. მის მუსიკალურ ნიჭს გასაქანი მისცა ჩვენმა დიდმა კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა სამრევლო სკოლაში, ხოლო დრამატულ კურსებზე კი—ნიჭიერმა კომპოზიტორმა ნიკო სულხანიშვილმა.

მაგრამ, გარდა სკოლისა, პავლემ ხალხური სიმღერები უშუალოდ თვით ხალხში შეისწავლა. შესანიშნავი ხალხური სიმღერა „ოროველა“ მან შეისწავლა ქართლში გლეხებისაგან, სადაც, როგორც უკვე ვწერდით ზევით, პავლე და მისი და-ძმანი ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე თავიანთი ოჯახის სიძეს გიორგი სუმბათაშვილს. პავლე ფრანგიშვილს შესანიშნავად ეხერხებოდა კუპლეტები, ინტერმედიები, გამოდიოდა დეკლამაციებით. იგი კარგად ბაძავდა სიმღერაში საქართველოს ბულბულს — ვანო სარაჯიშვილს. პავლე ფრანგიშვილი ხშირად გამოსულა ვანოს მაგივრად ფართო აუდიტორიის წინაშე და ვანოს რეპერტუარი უმღერია.

ერთხელ ერთ ასეთ საღამოზე პავლე ფრანგიშვილმა ვანოს რეპერტუარიდან მისი მიმბაძველობით იმღერა ი. გრიშაშვილის „გენაცვალე“. როდესაც ხალხი დაიშალა და დარბაზიდან უკანასკნელად გამოსულ ვანოს ფოიეში შაეტუხა გრუზათმიანი ჭაბუკი წარმოუდგინეს, — აი, ვინ იყო დღეს თქვენი მიმბაძველიო, ვანომ პავლეს ახედ-დახედა, მხრებზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ბიჭო თუ კი ასეთი სმენა და ნიჭი გქონდა სიმღერაში, დრამატულ თეატრში კი არა, საოპერო თეატრში უნდა შესულიყავი. მეც შეცავათი მექნებოდა, — ხან მე ვიმღერებდი ჩემს არიებს და ხან შენო!..

პაელე ასევე კარგად ბაძავდა კითხვაში იოსებ გრიშაშვილს, გამოდიოდა გრიშაშვილის რეპერტუარით.

ერთი ძველი მასწავლებელი, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო ხელოვნებისა და ხშირად ესწრებოდა არა მარტო ქართული თეატრის წარმოდგენებს, არამედ არ ტოვებდა არცერთ ლიტერატურულ საღამოს და არც კონცერტებს, მოგვითხრობს: ზაფხულის შაბათი დღე ღამდებოდა. სიცხისა და დახუთული ჰაერისაგან გაწამებული ხალხი საღამოთი მტკვრის ნაპირისაკენ მიისწრაფოდა, რომ ბაღის სიგრილით დამტკბარიყო. მალე მუშტაიდის ბაღი ხალხით გაივსო. ესტრადასთან მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი სასიქადულო პოეტის სოსო გრიშაშვილის გამოსვლას. იმ ხანად სოსოს უკვე საკმაო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ნიჭიერ პოეტს და ლექსების შეუდარებელ წამკითხველს. ვინაიდან მე ცოტა დაგვიანებით მივედი, სკამს ვეძებდი, უეცრივ შევნიშნე, რომ სოსო გრიშაშვილი კუთხეში, ხალხისაგან ცოტა მოფარებით ზის და მუსაიფობს. მე ჩემ ადგილზე დავჯექი და ფარდაც აიხადა. გამოდის კონფერანსიე და ლაკონიურად აცხადებს:

— იოსებ გრიშაშვილი — „იცი ოლოლ!“ მე უეცრივ წამოვხტი და იმ ადგილისაკენ გავიხედე, სადაც წეღან სოსო იჯდა. შევხედე, სოსო იქვეა! მას ოდნავ თავი ჩაეღუნია და გატრუნულა. ვიფიქრე: „ეს რა უპატივცემულობაა საზოგადოებისადმი, გამოაცხადეს და ის კი იქვე არხეინად დამჯდარა-მეთქი“.

მაგრამ, როდესაც აღშფოთებული სკამზე დავჯექი და სცენაზე გავიხედე, ჩემ წინ იდგა შავტუხა გრუზათმიანი თხელ-თხელი ყმაწვილი და წასაკითხად იყო მომზადებული.

დარბაზში ატყდა სტვენა და ყვირილი — „ვის ატყუებთ, ეგ რომელი გრიშაშვილია!..“

— ვა, ეს რა ფოკუსებია, გრიშაშვილები ნომრებით არის?! — იძახდა ვიღაც ჩასუქებული ძველებურ ახალუხში გამოწყობილი კაცი, რომელსაც ფართო მუცელზე გუმბათიანი ვერცხლის ქამარი ედვა.

— მაშ, მაშ. ეს გრიშაშვილი მეორე ნომერია! — გადაელაპარაკა მეორე მოქალაქე. მე ისევ იმ ადგილისაკენ გავიხედე, სადაც სოსო იჯდა. და რომ ვეღარ მოვითმინე, შევყვირე: — აი ნამდვილი გრიშაშვილი-მეთქი. — და ყველანი იმ ადგილს მიაჩერდნენ, საითკენაც მე გავიშვირე ხელი.

ახალგაზრდა ჭაბუკი სცენაზე წარბშეუხრელად იდგა. ალბათ იგი მოელოდა მაყურებლის ასეთ რეაქციას.

კონფერანსიე კვლავ გაჩოვიდა და იმავე ტონით ლაკონიურად მოსჭრა: — იოსებ გრიშაშვილი — „იცი—ოლოლ!“—და გრუზათმიანმა ყმაწვილმა დაიწყო. ხალხი ისევ შეტორტმანდა, ისევ ჟრიამულის ატეხას აპირებდა, მაგრამ, როდესაც გაისმა წკრიალა გრიშაშვილისებური ხმა, მასავით ოდნავ წაგრძელებული ვარიაციებით, ყველა შეჩერდა, წამკითხველს მიაჩერდა. ახლა ყველას ის აკვირვებდა, თუ ასე კარგად როგორ ბაძავდა...

ჭაბუკმა შესანიშნავად წაიკითხა — „იცი ოლოლ!“, იგი არა მარტო ზუსტად ბაძავდა, არამედ თვით წაკითხვითაც ბრწყინვალედ კითხულობდა. დარბაზში ატყდა ტაშის გრიალი. მაყურებლები ორივეს უკრავდნენ ტაშს — გრიშაშვილსაც და მის მიმბაძველსაც. სოსო გრიშაშვილმა ოდნავ აიწია და დარცხვენილმა საზოგადოებას თავი დაუკრა. ტაშისცემა აღარ ცხრებოდა. დარბაზში ყვირილი ხელახლად ატყდა:

— კიდევ, კიდევ. კარგია, კარგი! იმრავლონ გრიშაშვილებმა!..

ახალგაზრდამ ზედიზედ წაიკითხა სოსო გრიშაშვილის რეპერტუარიდან „გენაცვალე“, „ჩემი ღალატით“ და სხვ. ყოველ წაკითხვაზე მსმენელები ჭაბუკ-წამკითხველს ოვაციას უმართავდნენ .

მე შემდეგში შევიტყვე, რომ ეს შავტუხა გრუზათმიანი ჭაბუკი ყოფილა ქართული თეატრის მოღვაწე, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პავლე ფრანგიშვილი.

ასეთივე გაკვირვება გამოიწვია პავლე ფრანგიშვილმა გორელ მაყურებლებში. ეს იყო 1913 წელს, 2 ნოემბერს, პოეტ სიკო ფაშალიშვილის საღამოზე გორში, სადაც მონაწილეობას იღებდა დიდი აკაკიც. სხვათა შორის ამ საღამოზე სიკომ მონაწილეობის მისაღებად მოიწვია აგრეთვე პავლე ფრანგიშვილი. პავლემ ცნობილი ხალხური სიმღერები „ოროველა“ და „ურმული“ იმღერა. მან ეს სიმღერები ვანო სარაჯიშვილის მიმბაძველობით შეასრულა. გორელი საზოგადოება დასძენს — ს. ფაშალიშვილი — მეტად მოხიბლული დარჩა პავლე ფრანგიშვილის სიმღერებითო...

თვით აკაკი წერეთელი თურმე იმდენად მოხიბლა იმ სიმღერებით, რომ მრავალ თაიგულებიდან, რომელიც აკაკის და სიკო ფაშალიშვილის პატივსაცემად იქნა მოტანილი, აკაკიმ ერთი თაი-

გული პავლე ფრანგიშვილს მიართვა და თან კარგი სიტყვებისათვის მადლობა გადაუხადა.

პავლე ფრანგიშვილის სასცენო მოღვაწეობა დროებით შეჩერებულ იქნა მისი პირველ მსოფლიო ომში გაწვევის გამო. პავლე რიგითი ჯარისკაცად გაიწვიეს ომში. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ 1915 წლის № 3-ში დაბეჭდილია პავლეს სურათი, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს „მისი ომში გაწვევის გამო“.

მართალია პავლე ფრანგიშვილი დროებით მოწყდა მისთვის საყვარელ კულტურის კერას — ქართულ თეატრს, მაგრამ მას ჯარშიაც არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. მისი მეთაურობით დგება ჯარისკაცთა თვითმოქმედი წრე, რომელიც მომსახურებას უწევს ჯარისკაცებს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, ჰოსპიტლებში.

„ქუთაისის რეალური სასწავლებლის დარბაზში გასული წლის 30 დეკემბერს, — ვკითხულობთ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1916 წლის 17 იანვრის ნომერში, — გაიმართა ქართულ-რუსული „საღამო-მეჯლისი“ — ქუთაისის ღარიბ ჯარისკაცთა ცოლშვილის საჩუქრებისათვის. საღამოში მხოლოდ ჯარისკაცები იღებდნენ მონაწილეობას: მსახიობი—ჯარისკაცი პ. ფრანგიშვილი, რუსული ოპერის მომღერალი ჯარისკაცი ტურენკო და ერასოვი. ხალხი კმაყოფილი დარჩა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პ. ფრანგიშვილმა, რომელმაც იმღერა ქართული რომანსები. განსაკუთრებით მოეწონათ მისი „ურიული“. ხალხი მსახიობს ტაშისცემით მიეგება და ყვავილები მიართვა. აგრეთვე კარგად იმღერა ტურენკომ. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. ხალხი მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

პ. ფრანგიშვილისავე მონაწილეობით 3 იანვარს საავადმყოფოში გაიმართა საღამო დაჭრილ ჯარისკაცთათვის. პ. ფრანგიშვილმა დაჭრილ ჯარისკაცებს უმღერა ქართული სიმღერები და წაუკითხა ლექსები, რისთვისაც დიდი მადლობა გადაუხადეს. აგრეთვე ბ. ტურენკომ და ერასოვმა იმღერეს რუსულად. საღამოს მრავალი საზოგადოება დაესწრო“.

პავლე ფრანგიშვილი მონაწილეობას იღებდა აქა-იქ დროგამოშვებით გამართულ ჯარისკაცთა თვითმოქმედ დრამატულ წრის წარმოდგენებში. როგორც საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორმა გ. ბუხნიკაშვილმა გადმოგვცა, მუზეუმში ახლაც ინახება

პროგრამა, რომელიც გვაუწყებს, რომ 1917 წლის 14 იჟნისს ირანის ქალაქ ქერმანშახში გაუმართავთ ასეთი წარმოდგენა. ამ საღამოწარმოდგენაში პაელე ფრანგიშვილი აღნიშნულია, როგორც წარმოდგენის მონაწილე და ქართული სიმღერების შემსრულებელი, სადაც სხვა სიმღერებთან ერთად მშობლიური „ურმულიც“ უმღერია.

თავი მეოთხე

დიდი ქარტეხილის შემდეგ

პავლე ფრანგიშვილი ფრონტიდან სამშობლოში დაბრუნდა 1918 წელს. მშვიდობიან ცხოვრებას მოწყურებულს მას უნდა ისევ თავის საყვარელ თეატრს მიაშუროს, მაგრამ სადღა იყო თეატრი? სამწუხაროდ მაშინდელი არეულ-დარეული მდგომარეობის გამო ქართული თეატრის მდგომარეობა მეტად აუტანელი შეიქნა.

„1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, — წერს თეატრის ისტორიკოსი ს. გერსამია თავის წიგნში „ქუთაისის თეატრი“, — დაარსდა ე. წ. საქართველოს მენშევიკური „დემოკრატიული რესპუბლიკა“. მენშევიკების ბატონობის ხანში ყოველგვარი კულტურული საქმიანობა ერთ წერტილზე გაიყინა. მაშინდელმა მთავრობამ ქართული თეატრის მესვეურობა არ იკისრა და ის სახელმწიფო ხარჯზე არ ჩარიცხა. ამ საქმეს ისევ დრამატული საზოგადოებები განაგებდნენ, მაგრამ იმდროინდელი ეკონომიური და ფინანსური სასტიკი კრიზისის გამო საზოგადოებებს არავითარი საშუალება არ გააჩნდათ, რომ სათეატრო საქმეს ღირსეულად გაძღოლოდნენ. დაიწყო ქართული თეატრის კრიზისი“.[1]

ასეთი მდგომარეობა იყო თბილისში, ცხადია, ასეთივე რთული პირობები შეექმნა ქუთაისის თეატრს. — კრიზისმა განსაკუთრებით 1920—21 წლის სეზონში მიაღწია უმაღლეს წერტილს, — წერს ს. გერსამია იმავე წიგნში, — სეზონის მეთაურობა დრამატულმა საზოგადოებამ იკისრა. მან დიდის გაჭირვებით გამოიტანა ბანკიდან სესხი ისეთი რაოდენობით, რომ საქმის დაწყებას თუ ეყოფოდა. არ ჰქონდათ საშუალება და არც დაუმზადებიათ ახალი დეკორაციები.

---

[1] ს. გერსამია—„ქუთაისის თეატრი“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1947 წ., გვ. 72—73.

ასე გაისინჯეთ ქალაქის მართველობამ სათეატრო შენობის საიჯარო გადასახადიც კი არ აპატია დრამატულ საზოგადოებას. ამ სეზონში ხშირად იყო ისეთი მომენტები, როცა თეატრის არსებობის საკითხი ბეწვზე ეკიდა... მაგრამ მსახიობთა ენერგიულმა მუშაობამ და შალვა დადიანია ავტორიტეტმა (შალვა დადიანი ხელმძღვანელობდა ამ სეზონს) ქუთაისი ამ მარცხს გადაარჩინა და თეატრმა რის ვაი-ვაგლახით მოაღწია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე".

თუ თბილისში და ქუთაისში ასეთი მდგომარეობა იყო, ადვილი წარმოსადგენია რა მდგომარეობა იქნებოდა საქართველოს სხვა ქალაქებსა და დაბებში... ასე, რომ უბადრუკმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ გაართვა თავი ვერც პოლიტიკურ საქმეებს და მით უმეტეს ვერც ხელოვნებას, ამიტომ იყო, რომ ქართული თეატრის დასები დაშლის გზაზე იყვნენ დამდგარნი...

ახლა პავლე ფრანგიშვილის წინაშე დგება მეტად სერიოზული საკითხი. რა ქნას, რა გააკეთოს? მას ხომ თეატრის გარეშე არ შეუძლია ცხოვრება!

დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მეთაურობით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთში უკვე დაემხო დროებითი მთავრობა. იქ ხელისუფლება უკვე მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელშია.

მაშ, საქართველოშიც უნდა დაემხოს მენშევიკური უღიმღამო ხელისუფლებაც, რომ ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს, ხელოვნებაც თავის კალაპოტში ჩადგეს და ხელოვნების ყველა მუშაკმა თავის საყვარელ საქმეს მოკიდოს ხელი!

ამ ნათელი მომავლის იმედით გამხნევებული პავლე ფრანგიშვილი კვლავ უბრუნდება ავჭალის აუდიტორიას, იმ აუდიტორიას, საიდანაც მან პირველად გადადგა ნაბიჯი სცენო ხელოვნებისაკენ.

პავლე ფრანგიშვილს იქ დახვდა ნახევრადპროფესიული დასი, რომელშიც შედიოდნენ — უშანგი ჩხეიძე, დ. ანთაძე, დ. ჩხეიძე, გ. მიქელაძე, შ. ნასყიდაშვილი, ნ. ბურჯულაძე, შ. ბოჭორიშვილი, მიხ. გომელაური, თ. ჯინჯიხაძე, მ. ნასყიდაშვილი და რამდენიმე ახალგაზრდა. დასის რეჟისორ-ხელმძღვანელად იყვნენ ჯერ ევტროფი თალაკვაძე, ხოლო შემდეგ დ. ჩარკვიანი.

1919 წელს, — წერს თავის მოგონებებში იმ დასის ერთერთი წევრი ნ. ბურჯულაძე, — ვინაიდან მატერიალურად სცენა

არავის არაფერს აძლევდა, ბუნება კი თავისას მოითხოვდა. არსებობა საჭირო იყო, ამიტომ მსახიობები ხშირად იფანტებოდნენ. ჩარკვიანის შემდეგ წრეს ხელმძღვანელად იმჟამად უკვე პროფესიული მსახიობი და დღეს კარგად ცნობილი მსახიობ-რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი გაუჩნდა.[1] პავლე ფრანგიშვილის მუშაობა ახალგაზრდათა წრისათვის უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. იმხანებში დავდგით დ. ერისთავის „სამშობლო“, აკაკის „პატარა კახი“, ირეთელის „ქრისტინე“, ვ. გუნიას „და-ძმა“ და სხვ.

პავლე ფრანგიშვილი ავსებს დასს, ადგენს ხალხისათვის გასაგებ რეპერტუარს და განაგრძობს მუშაობას. ამ დასის მოღვაწეობის არე იყო რკინიგზის მუშები, რადგან დასში ძირითადად რკინიგზის მუშები შედიოდნენ. უნდა ითქვას, რომ ეს დასი დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა თავის მაყურებლებში. ამ დასს თავისი წარმოდგენები ზოგჯერ მუშტაიდის კლუბშიაც გაჰქონდა. ამ პერიოდში დასის მიერ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დადგმებისა, განხორციელებულ იქნა სხვა პიესებიც, რომლებშიაც პავლეს შესრულებული აქვს „არსენაში“ — არსენა, „და-ძმაში“ — გაიოზ ფალავა, „ბატონსა და ყმაში“ — გაბრო, „სამშობლოში“ — ლევან ხიმშიაშვილი, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“-ში — გელა, „ქრისტინეში“ — იასონი, „შენი ჭირიმე“-ში — სოსიკო, „ყაჩაღებში“ — კარლ მორი, „ხანუმაში“ — აკოფა და სხვ.

1920 წლის დამლევს, როგორც იყო გაბახლდა თბილისის დრამატული დასის მუშაობაც. მაგრამ არა ვენშევიკური ხელისუფლების ხელშეწყობითა და სუბსიდიებით, არამედ კერძო პირთა ინიციატივით, რომელშიც, უთუოდ, დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი ფალავას. აღნიშნულ დასში მიღებულ იქნა აგრეთვე პავლე ფრანგიშვილიც. მაგრამ თეატრი მაინც მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იყო, რის გამოც მას არ შეეძლო გაეშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა მთლიანად.

ამ ხანებში ქართულ თეატრალურ სამყაროს კიდევ ერთი მწუხარება დაატყდა თავს. 1920 წელს გარდაიცვალა ქართული თეატრალური ხელოვნების დიდი კორიფე, სახელგანთქმული მსახიობი, ტრაგიკოსი, ქართული სცენის მშვენება — ლადო მესხიშვილი, რა-

[1] ნ. ბურჯულაძე—„სცენის „მოყვარის ცოგონებანი“, საქ. სათეატრო მუზეუმის არქივი, გვ. 19.

მაც დაამწუხრა მთელი ქართველი საზოგადოება და, კერძოდ, მისი მოწაფე პავლე ფრანგიშვილი.

პავლემ ამ დიდი ხელოვნისადმი დიდი სიყვარული და წუხილი გამოხატა ლადოს დაკრძალვის დღეს, 1920 წლის გაზეთ „სახალხო ფურცელში“.

„კიდევ ჩამოჰკრეს გლოვის ზარი, — წერდა ფრანგიშვილი, — ქართულ თეატრს კვლავ ძაძები ჩააცვეს...

— ლადო გარდაიცვალა!

ამ სიტყვამ თავზარი დასცა ყველას. ქართულ თეატრს გამოაკლდა მადლმოსილი მასწავლებელი ლადო!..

საუკუნოდ დადუმდა ჯადოსნური ხმა.

ლადოს — ფრანცი, ჰამლეტი, კინი, რასპლუევი, განა იმ სიმშვენიერის აღწერა შეიძლება! მარტო ერთი ის რად ღირს, რომ მისი წყალობით დღეს ქართულ თეატრს ამშვენებენ საუკეთესო მსახიობნი.

ეს ლადოს შრომაა! მისი ნაყოფია! თვალებზე ცრემლი მომდის და ვერ ვამბობ იმას, რაც მინდა.

ვაჰქრა ვარსკვლავი ქართული სცენისა.

კალმით ნახატი სიმშვენიერე შავმა უფსკრულმა წაგვართვა.

არარაობა დაემკვიდრა სილამაზეს!..

ყველა ააცრემლა. საზარელია, საზარელი!

ძვირფასო მასწავლებელო! მუხლს ვიდრეკ შენი გაცივებული გვამის წინაშე, დიდო ქურუმო და გეტყვი: წარუშლელი კვალი დატოვე ჩვენს ხსოვნაში და სამარადისოდ იარსებებ ჩვენს გულში.

იმ ცრემლები, რომელსაც შენ ქართული დამწუარი თეატრის წინ აფრქვევდი, ის ცრემლები იქნება დასაბამი ჩვენი სცენისადმი სიყვარულისა და როდესაც განთავისუფლებულ საქართველოში ღრმად ჩაეყრება საძირკველი შენგან დაარსებულ ქართულ თეატრს, როდესაც აფრიალდება დროშა თავისუფალი ხელოვნებისა, მაშინ ჩვენთ შენს საფლავზე და ოქროს ასოებით წავაწერთ: „ძვირფასო მასწავლებელო, შენი პირწმინდა შვილი, საყვარელი ქართული თეატრი აწ სამუდამოდ თავისუფალია“...

მაშინ შენი ჯოწაფენი ცრემლით მოიგონებენ ძვირფას მასწავლებელს, სიმბოლოს ქართული სცენისას და იტყვიან: ლადო ჩვენში არ მომკვდარა და არც მოკვდება!.. სამარადისოდ შენი სახე ჩვენში დარჩება!“



ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეთა წრე



პიათურის მსახიობთა ერთი ჯგუფი: სხედან მარჯვნიდან მარკვნივ—პ. ფრანგიშვილი, თ. აბაშიძე, გ. ნუცუბიძე; დგანან—მ. ვაშაძე, ს. ცომაია და გ. ტყაბლაძე

ასე დაიტირა პავლე ფრანგიშვილმა თავისი საყვარელი მასწავლებელი, რომელმაც ქართული თეატრისადმი სიყვარული შთაუნერგა და თეატრალურ ხელოვნებაში ფეხი აადგმევინა.

ქართველმა ხალხმა შეუპოვარი ბრძოლით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაამხო მენშევიკური მთავრობა საქართველოში და ქართველი ხალხი სამუდამოდ განთავისუფლდა ჩაგვრისაგან. პავლე ფრანგიშვილი თავის ხალხთან ერთად დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამ ერიდან მას შეუძლიან გაშალოს მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. პავლე მართლაც აათკეცებს თავის მუშაობას. იგი ერთხელ აღებულ გზას, ხალხისადმი სამსახურს განუხრელად ანხორციელებს. პავლე ფრანგიშვილი ყოველდღიურად იზრდება არა მარტო როგორც მსახიობი და რეჟისორი, არამედ როგორც თეატრის ორგანიზატორიც. პავლეს ხომ ერთგვარი გამოცდილებაც აქვს მოღებული ავჭალის აუდიტორიის ჩამოყალიბებაში და მის ხელმძღვანელობაში, როგორც რეჟისორს, მსახიობს და ორგანიზატორს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ხანა იწყება. საბჭოთა ხელისუფლებამ იკისრა მისი ხელმძღვანელობა და დაფინანსება. ამას კი შედეგად მოჰყვა ქართული თეატრის აღორძინება და მისი ზრდა-განვითარების უზრუნველყოფა. განახლდა თეატრის მუშაობა. პერიფერიებში იწყება დაშლილი დასების აღდგენა და ახალი დასების შექმნა.

1922 წლიდან ქართული თეატრი აღმავლობის გზით მიდის, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საქართველოში ბრუნდება ქართული თეატრის რეფორმატორი, დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, რომელიც ხანგრძლივად მუშაობდა რუსულ სცენაზე. დიდ რუს თეატრალურ კორიფეებთან — კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ერთად რუსულ თეატრს მან დიდი ღვაწლი დასდო.

კოტე მარჯანიშვილმა მშობლიურ თეატრალურ ხელოვნებაში პირველმა წარმართა ახლებურად სარეჟისორო მუშაობა. მან ახლებურადვე დააყენა კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების საკითხი, ქართული საბჭოთა თეატრისათვის ახალი კადრების მომზადების საკითხი.

როგორც ცნობილია, კოტეს რეჟისორობით ამ პერიოდში იდგმე-

ბა ლოპე დე-ვეგას ცნობილი „ცხვრის წყარო“, რომელიც ქართული საბჭოთა თეატრის ალორძინების ქვაკუთხედად არის მიჩნეული.

ამის შემდეგ კოტე მარჯანიშვილი თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდობას და იწყებს გაათკეცებულ მუშაობას ქართული თეატრალური ხელოვნების აყვავებისათვის.

„კოტე მარჯანიშვილის ყოველი ახალი დადგმა — აღნიშნავს პავლე ფრანგიშვილი. — ახალ-ახალ გამარჯვებას ანიჭებდა ქართულ თეატრს. ვინ მოსთვლის რამდენი სიახლე შემოიტანა მან ქართულ თეატრში. ჩემდა სამწუხაროდ სწორედ მაშინ მომიხდა ფოთში თეატრის ჩამოსაყალიბებლად თბილისიდან წასვლა და არ მქონეცა საშუალება უშუალოდ მენახა და განმეცადა კოტეს პრაქტიკული მუშაობა. თუმცა მე ყოველთვის აღმაფრთოვანებდა მის მიერ რეალისტურად დადგმული სპექტაკლები.“

1922 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი პავლე ფრანგიშვილს გზავნის ქ. ფოთში დრამატული დასის ჩამოსაყალიბებლად. ფრიად სერიოზული ამოცანაა ახლა პავლეს წინაშე. ახლა ის დრო აღარ არის, როცა თავის ეზოში თეატრობანას თამაშობდა. ან სახალხო სახლიდან რომ წყაროს უბნისაკენ გამორბოდა. აღარც ავჭალის აუდიტორიაა, აღარც ის დროა, როდესაც ქარელიდან პავლეს მცირე დასი სოფელ-სოფელ ფეხით გამორბოდა.

აბა, მაშ რა გააკეთოს პავლემ, როგორ მოიქცეს? მან იცის, რომ ახლა ახალი გზით უნდა იაროს. საბჭოთა მთავრობა თეატრებს ეხმარება. ვათ დოტაციებს აძლევს და ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მუდმივ დასებს აყალიბებს. არნახული გასაქანი ეძლევა ხელოვნებას და ხელოვნების მუშაკებს თავიანთი ნიჭისა და შემოქმედების გასაფურჩქვნელად. თეატრი ამიერიდან ხალხს ეკუთვნის, მშრომელ ხალხს. მერე პავლესაც ხომ ეს უნდოდა; იგი ქარელში თავისი მცირე დასით ხომ იმიტომ ჩავიდა, რომ ხალხში გათვითცნობიერება შეეტანა, ხალხისათვის შეემსუბუქებინა ჭირ-ვარამი...

მაშინ იქაურმა ღვინით გალეშილმა თავადმა თავისი დამჭაშები მიუსია და პავლეს დასი ქართლიდან გარეკა. რა უყოთ, რომ მაშინ უშედეგო გამოდგა პავლეს კეთილი სურვილები.

სამაგიეროდ ახლა სულ სხვა არის. ახლა ხელისუფლება მუშებს, გლეხებს და მშრომელ ინტელიგენციას ეკუთვნის, თეატრი ხალხის ღვიძლი საქმეა. თეატრის წინაშე ამიერიდან კეთილშობილი ამოცანაა — აღზარდოს მშრომელთა ფართო მასები ახალი კომუნისტუ-

რი სულიკვეთებით. ხალხს თეატრმა უნდა მიაწოდოს სულიერი და გონებრივი საზრდო. ყოველივე ამას პავლე ანგარიშს უწევს, იგი ფოთში აყალიბებს მუდმივ პროფესიულ დასს და ერთი სეზონიც ფოთშივე რჩება და განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

1923 წელს პავლე ფრანგიშვილი კვლავ ნაძალადევის მუშათა კლუბთან არსებულ დრამატული დასის ხელმძღვანელია. 1924 წლიდან 1926 წლამდე პავლე ფრანგიშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს საქართველოს პერიფერიებში ახლად დაარსებული დასების მუშაობაში. ზოგჯერ მსახიობად. ზოგჯერ რეჟისორად და ზოგჯერაც თეატრის ორგანიზატორად გვევლინება. ასე მუშაობდა ის ამ პერიოდში ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, ოზურგეთში (ახლა ზახარაძე) და სხვ. სოლო 1926-27 წლის სათეატრო სეზონში პავლე ფრანგიშვილს ნიშნავენ ჭიათურის მუშათა თეატრში რეჟისორად და მსახიობად.

თავი მეხუთე

ჯიათურის თეატრში

ვანამდე უშუალოდ პავლე ფრანგიშვილის ჯიათურის თეატრში მოღვაწეობაზე გადავიდოდეთ, საჭირო იქნება ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ თუ რას წარმოადგენდა ჯიათურის თეატრი პავლეს იქ მისვლამდე.

ჯიათურაში ქართული თეატრის შექმნას საკმაო ისტორია აქვს. პირველი წარმოდგენა ნახევრად პროფესიული დასმა აქ 1895 წელს გამართა. წარმოადგინეს გ. ერისთავის „ძუნწი" და „უჩინ-მაჩინის ქუდი" და ვ. გუნიას „რაც არ მერგება, არ შემერგება". შემდეგ სხვადასხვა დროს იმართებოდა წარმოდგენები, როგორც ადგილობრივ ნახევრად პროფესიული დასის, ისე თბილისიდან და ქუთაისიდან ჩასული დრამატული დასების მიერ.

თვითმპყრობელობისა და მენშევიკური ხელისუფლების დამხობას დიდი სიხარულით შეხვდნენ ჯიათურელებიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ დაიწყო ჯიათურის თეატრის მუშაობის განახლება. ჩაეყალიბდა ნამდვილი მუდმივი დასი. მიეცა სახელმწიფოსაგან თეატრს სათანადო დოტაცია და მან განაგრძო მუშაობა.

1922-26 წლებში ჯიათურის თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ შალვა ხონელი, მიხ. ქორელი, ნ. გამრეკელი-თორელი, კ. ანდრონიკაშვილი და სხვები. მაგრამ, სამწუხაროდ, თეატრი ვერ იდგა იდეურად ჯანსაღი შემოქმედებით მუშაობის გზაზე.

„1926 წლამდე, — ვკითხულობთ 1937 წელს გამოცემულ ჯიათურის თეატრის საიუბილეო კრებულში, — ჯიათურის თეატრმა ვერ ვიიღო მტკიცედ დარაზმული თეატრალური კოლექტივის სახე.

მართალია თეატრს ადრე ჰქონდა ცალკეული კარგი დადგმები, მაგრამ ჩავარდნები უფრო მეტი ჰქონდა... თეატრის ხელმძღვანელებმა, — განაგრძობს კრებულში მოთავსებული სტატიის ავტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. ნუცუბიძე, — ვერ აუღეს ალღო ახალ მომენტს და ისევ ძველებურ გატკეპნილ გზას მისდევდნენ. რის გამოც თეატრი ჩიხში მოაქციეს და მაყურებელიც შემოეფანტათო“. .

ასე, რომ პავლე ფრანგიშვილს ფაქტიურად ხელახლად მოუხდა ჭიათურის თეატრის კოლექტივის დაკომპლექტება. აი, ასეთი სახით ჩაიბარა ჭიათურის თეატრი პავლე ფრანგიშვილმა 1926-27 წლის სეზონში, როდესაც იგი ამ თეატრის ხელმძღვანელად დანიშნეს. ადვილი როდი იყო თეატრის მუშაობის უცბად გარდაქმნა და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ახალი ცხოვრებისაკენ სწრაფად შემობრუნება.

მაგრამ პავლე ფრანგიშვილმა, ნაძალადევის მუშათა თეატრისა და ფოთის თეატრების ჩამოყალიბების გამოცდილებით შეიარაღებულმა, კარგად იცის რა უნდა გააკეთოს. რათაც არ უნდა დაუჯდეს პავლეს, შავი ოქროს ქალაქის მუშათა თეატრი — პირველი მუშათა თეატრი საქართველოში უნდა გადააქციოს საქართველოში ერთ-ერთ პროფინავე თეატრად.

მართალია ჭიათურის თეატრს საკმაო ტრადიციები აქვს, თავის დროზე აქ ყოფილან ქართული სცენის კორიფეები — ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, ნინო ჩხეიძე, ნატალია გვაზავიშვილი, შალვა დადიანი, ალ. წუწუნავა და სხვები. მაგრამ ეს იყო წარსულში. ჭიათურის თეატრის ბედს ხომ ახლა თვით ჭიათურის მუშები, გლეხები, მშრომელი მოსახლეობა განაგებს. საბჭოთა ხელისუფლება თეატრს დოტაციას აძლევს, ამასთან ყველას — რეჟისორს, მსახიობს, მხატვარს და ყველა შემოქმედ მუშაკს შეუძლიან გაშალოს თავისი შემოქმედებითი მუშაობა, როგორც მას უნდა. პავლე ფრანგიშვილიც ხომ ამაზე ოცნებობდა! მას არ დავიწყებია დიდი ილიას ანდერძი — ისწავლე, სამშობლოს გამოადექიო.

და აი, ახლა პავლე იწყებს ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს — ჭიათურის მუშათა რაიონში უნდა შექმნას ნამდვილი საბჭოთა თეატრი, სოციალისტური შინაარსით, ნამდვილი ხალხური თეატრი ხალხის კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდისათვის. პავლე ამას

შესძლებს, რადგან იგი ამისათვის არის მოწოდებული, მას აქვს სა-
ამისო ცოდნაც და გამოცდილებაც!..

პ-ელემ, პირველყოვლისა, მთავარი ყურადღება მიაქცია მაყუ-
რებელთა მოთხოვნილებას. მან დაიწყო თუ არა მუშაობა, მთავარი
მახვილი მიმართა ძველი დრომოჭმული თეატრალური ტრადიციების,
ძველი გადმონაშთების, აქტიორული შტამპისა და უკულტურობის
წინააღმდეგ. თეატრმა სერიოზული ნაბიჯი გადადგა ჭიათურის მა-
ღაროელ მუშათა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობი-
სათვის. პავლე ფრანგიშვილი თეატრის კოლექტივს თითქმის ხელ-
ახლა აკომპლექტებს, ადგენს ახალ რეპერტუარს — ორიგინალური
დრამატურგიის ხარჯზე და იწყებს ნამდვილ შემოქმედებით მუ-
შაობას.

პავლე ფრანგიშვილმა მიზნად დაისახა სპექტაკლების მხატვრუ-
ლი დონის ამაღლება და სულ მალე საგრძნობ შედეგებსაც მიაღწია.

„ჭიათურა მეტად გულგატეხილი იყო წარსული სეზონების
უსისტემო მუშაობით, — წერს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“
კორესპონდენტი, ჟურნალის 1926 წლის პირველ ნომერში. —
და ცოტა უნდობლად უყურებდა მომავალ სეზონსაც, მაგრამ მო-
ლოდინი არ გამართლდა... სეზონი გაიხსნა 24 ოქტომბერს სანდრო
შანშიაშვილის ორიგინალური პიესით „ამბოკარი“. შარშანდელ
არეულ-დარეული სეზონით, — დასძენს იგივე რეცენზენტი, — და-
შინებული საზოგადოება ეჭვის თვალით უცქეროდა ამ სეზონსაც
და პირველ წარმოდგენაზე მიდიოდა დასასწრებად — გაამარ-
თლებდა მისი ეჭვი თუ არა. სინამდვილე სულ სხვანაირი გამოდგა:
დასმა მუშაობა დაიწყო და პირველი წარმოდგენიდანვე დაარწმუნა
საზოგადოება, რომ მუყაითს, არამყვირალა მუშაობას დიდი რამ
შეუძლია. აღსანიშნავია ის, რომ სეზონის ხელმძღვანელი პ. ფრან-
გიშვილი ასე ფართო ხელმძღვანელად პირველად გამოდის და ცოდ-
ვა იქნება არ აღვნიშნოთ, რომ მისი მუშაობა ჯერჯერობით სრუ-
ლიად დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად მრავალგვარი დაბრკო-
ლებისა, ჯერ არცერთი წარმოდგენა არ გვიჩვენა მოუმზადებელი და
საჩქაროდ შეთითხნილი. ყველას ეტყობა დაკვირვება და მუშაობა,
ახალი შტრიხების შეტანაო“.

ორიგინალური დრამატურგიის გამოტანა სცენაზე, ქართველი
დრამატურგების ჩაბმა თეატრის მუშაობაში, ახალი, აღმავალი მუ-
შათა კლასისა და მშრომელი ხალხისათვის გასაგები და სასარგებ-

ლი შინაარსის პიესების შერჩევა, განახლებულ დასში ახალგაზრდობის მოზიდვა — აი, რა იყო თეატრის შემოქმედებითი გამარჯვების მთავარი ფაქტორი, რასაც პავლე ფრანგიშვილმა მთავარი ყურადღება მიაქცია და ამ გზითაც წარმართა მთელი თავისი მუშაობა. სწორედ ამან შეუწყო ხელი ჭიათურის მუშათა თეატრის საქმიანობის რადიკალურ გაუმჯობესებას.

„მრავალი ჭირვარამისა და დაბრკოლებების მნახველია ჭიათურის თეატრი, — წერს ამ თეატრის ერთ-ერთი ძველი მსახიობი ნინო ბერძენიშვილი 1927 წლის ერთდროულ „ალმანახში“, — მაგრამ მან ყოველივე ამას თავი დააღწია და გაიზარდა იმდენად, რომ, როდესაც ახლა ნაცნობები და მეგობრები მხვდებიან, მილოცავენ გამარჯვებას და ახალ მიღწევებს. ამ შემთხვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის, პირველ რიგში, საბჭოთა ხელისუფლებას, რომელის ყოველნაირად ხელს უწყობს თეატრს, რათა თეატრი გადაიქცეს მშრომელი ხალხისა და პირველ რიგში, ახალგაზრდობის საყვარელ კერად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 1926-27 წლის სეზონი. მე პირადად 1910 წლიდან ვმუშაობ ამ თეატრში, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, რომ ასეთი ენერგიული და შეხმატკბილებული მუშაობა ამ ხნის მანძილზე იშვიათად შემხვედრია.

ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ჩვენი ახალგაზრდა რეჟისორი პ. ფრანგიშვილი, რომელმაც შესძლო თავისი დაუღალავი შრომით, თავისი ალღოთი და ნიჭით ჭიათურელებისათვის მაღალმხატერული დადგმები ეჩვენებინა, რითაც საზოგადოებაში და ამხანაგებთანაც სიყვარული დაიმსახურა“.

ამრიგად, თეატრის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო და მან პირველი სპექტაკლებიდანვე აალაპარაკა როგორც საზოგადოებრიობა, ისე მაშინდელი პრესა, აი, რას წერს გაზეთ „მუშას“ რეცენზენტი 1927 წ. მარტის ნომერში: „ჭიათურის თეატრს ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრი თვალსაჩინო დასი და სეზონები უნახავს, მაგრამ ამ ოთხი-სუთი წლის განვლილი სეზონები კი, თითქმის ყოველთვის მოიკოჭლებდნენ . და აი, 1926-27 წლის სეზონი ახალგაზრდა რეჟისორ პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით გამარჯვებით მიმდინარეობს.

მსახიობთა რიგიანი შერჩევა ამა თუ იმ როლისათვის, მხატერული გემოვნება — აი რა ახასიათებს დღევანდელ სეზონს. ამის

დამამტკიცებელია უკანასკნელი წარმოდგენა აკაკი წერეთლის „კინტო“, გადმოკეთებული საამდროვოდ „ზანგის“ მიერ (ზანგი პ. ფრანგიშვილის ფსევდონიმია, ნ. კ.). პიესა დამუშავებული იყო მშვენივრად. ყველა მაყურებელი ერთხმად გაიძახოდა, რომ დღეს სერიოზულ თეატრში ვართო: მოთამაშენი თითქმის ერთი-მეორეს ეჯიბრებოდნენ, როლის უკეთესად შესრულებაში. სცენაზე ყველა ცოცხლობდა“.

ამ სეზონში პავლე ფრანგიშვილმა განახორციელა შემდეგი დადგმები: სანდრო შანშიაშვილის — „ამბოკარი“, „მათრახის პანაშვიდი“ და „ბერდო ზმანია“, სენკევიჩის — „ვიდრე ხვალ უფალო“ (თარგმანი აკ. წერეთლისა), ტრ. რამიშვილის „გაჭირვების ტალკვესი“ და „შეშლილნი“, მიხ. ჯავახიშვილის — „ჯაყოს ხიზნები“ (გადმოკეთებული პ. ფრანგიშვილის მიერ), ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ი. გედევანიშვილის — „სინათლე“, აკ. წერეთლის „კინტო“, ნ. შიუკაშვილის — „ამერიკელი ძია“, სოფოკლეს — „ოიდიპოს მეფე“, ჰაუპტმანის — „ჩაძირული ზარი“ და მრავალი სხვა. ამ სეზონში წარმოდგენილი იქნა 54 სპექტაკლი, მათ შორის სამი სპექტაკლი მუშებისათვის უფასოდ იქნა გაშვებული.

ამ დროისათვის თეატრის კოლექტივში ირიცხებოდნენ ქალები: თ. აბაშიძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ნინონი, ნ. კაკაბაძე, ნ. სიხარულიძე, დ. მელიქიშვილი, გ. ტყემალაძე, ვ. ბეჟუაშვილი; ვაჟები: ა. ლითანიშვილი, შ. ბეჟუაშვილი, გ. ნუცუბიძე, ა. ლეჟავა, ი. შველიძე, მ. ვაშაძე, ზ. ურუშაძე და სხვ.

ჰიათურის თეატრმა თავისი პირველი სეზონი 30 აპრილს წარმატებით დაამთავრა. პირველმავე სეზონმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა, სპექტაკლებიც თავისი შინაარსითა და მხატვრულობით მაღალ დონეზე იდგა, რამაც მაღალი შეფასება მიიღო, როგორც ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში, ისე ცალკეულ მოღვაწეებისა და მაყურებლებისაგან. თვით პავლე ფრანგიშვილმა სეზონის დამთავრების წინ საზოგადოებას ასეთი სიტყვებით მიმართა:

„არ შემიძლიან ჩემი გულწრფელი მადლობა არ გადავუხადო ჩემს მეგობრებს, რომლებმაც დიდი სითბო და სიყვარული მაგრძნობინეს. ამ სიტყვებს ვიტყოდ ვწერ აქ, სწორედ აქ (პავლემ შემდეგში თავისი სიტყვა თეატრის დღიურში ჩაწერა, რომელიც ამავე თეატრის მუზეუმში ინახება), რომ შესაძლებელია ვინმემ ნახოს

ეს ჩვენი ნაშრომი და დაე, ესეც იცოდეს, რომ მე დასის ხელმძღვანელი ვათავებ რა სეზონს, ვამბობ, რომ თუ კი სეზონმა სიმპათია და გამარჯვება ჰპოვა ჰიათურის მუშა-მოსამსახურეთა შორის, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ამხანაგების ხელისშეწყობით და მათი დაუღალავი მუშაობის წყალობით, და მე ვისურვებ, რომ ასეთი შეხმატკბილებული მუშაობა არასოდეს არ შეწყვეტილიყო ჰიათურის სცენაზე, და ყოველთვის ახალი გზით ევლოს ქართული თეატრის ასაყვავებლად!“.

თავი მეექვსე

დაოსტატებისაკენ

დღითიდღე იზრდება და უმჯობესდება ჰიათურის თეატრის სპექტაკლები. დღითიდღე იზრდება თითონ პავლე ფრანგიშვილიც, როგორც შემოქმედი-რეჟისორი და მსახიობი. მის მიერ დადგმული სპექტაკლები შეიყვარა ჰიათურელმა მაყურებელმა. ყოველ სეზონში უმჯობესდება ჰიათურის თეატრის რეპერტუარიც. ჰიათურის თეატრის სცენაზე დამკვიდრდნენ ქართველი საბჭოთა დრამატურგების—შალვა დადიანის, ს. შანშიაშვილის, ი. ეკალაძის, პ. კაკაბაძის, ვ. გაბესკირიას, ს. მთვარაძის, ი. ვაკელის, ს. კლდიაშვილის, გ. ნახუცრიშვილის, მ. ჯაფარიძის პიესები, ქართული კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები — გ. ერისთავის, ავ. ცაგარლის, ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის, ვ. გუნიას, ვ. შალიკაშვილის, ნ. შიუკაშვილის, ტრ. რამიშვილის, აგრეთვე მოძმე ხალხების მწერალთა — შირვანზადეს, ალ. აფინოგენოვის, ბ. ლავრენიოვის, ალ. კორნეიჩუკის, კ. სიმონოვის ნაწარმოებები. ამასთან ერთად ჰიათურის სცენაზე იდგმება მსოფლიოს გამოჩენილი მწერლების — შექსპირის, შილერის, ლოპე დე-ვეგას და სხვათა ქმნილებანი.

საერთოდ პავლე ფრანგიშვილი მრავალმხრივი შემოქმედია. ის არის რეჟისორი, მსახიობი, პიესებისა და ლექსების ავტორი, კარგი მომღერალი და დეკლამატორი; გარდა მხატვრული ალღოსი, მას აქვს ერთი კარგი თვისებაც — ახლისადმი გამახვილებული ინტუიცია. პავლე ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე და მხატვარია. რა თქმა უნდა, ეს იმითაც აიხსნება, რომ მისი სარეჟისორო და სამსახიობო შემოქმედება ძირითადად ქართულ საბჭოთა თეატრში განვითარდა და გაიფურჩქნა. მისი სასცენო მოღვაწეობის 40 წლიდან 33 წელი ხომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოდის!

პავლე ფრანგიშვილი ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომელთაც ხელი შეუწყეს ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეს. პავლე ფრანგიშვილი თავისი შემოქმედებით — რეალისტია. მას ეხერხება სინამდვილისა და მისი მოვლენების ცოცხლად და დამაჯერებლად ასახვა, ამ შემთხვევაში სულერთია — ეს იქნება მის მიერ დადგმული სპექტაკლი, თუ მის მიერ შესრულებული როლი.

პავლე ფრანგიშვილი უშუალო მაყურებელთან, ხალხთან ახლოს არის. იგი თეატრის რეპერტუარსაც ამ ნიშნით არჩევს. თითონ მუშის ოჯახიდან გამოსული, უშუალო ახლოს არის მუშებთან, გლეხებთან და ყველა მშრომელთან. ამიტომ იყო, რომ ყოველ ახალ სეზონში, მისი ხელმძღვანელობით არსებული თეატრის კოლექტივი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევდა. პავლემ არ იცის გატკეპნილი გზით სიარული. ის მუდამ ახლის ძიებაშია. პავლე ფრანგიშვილი როდი ერიდება პერიფერიულ თეატრებს. ოღონდაც ქართული თეატრის საქმეს აკეთებდეს და სულ ერთია სადაც უნდა იყოს. მან იცის, რომ ის აკეთებს საქვეყნო საქმეს, იგი სამშობლოს საქმეს აკეთებს. „სამშობლოს გამოადექი!“ — ეს სიტყვა პავლესათვის კანონია!

როდესაც პავლე ფრანგიშვილი აკაკი ფალავამ მიიწვია ქართულ დრამატულ თეატრში (ამჟამად რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრი), პავლეც სიამოვნებით დაეთანხმა. მას შეეძლო აქ ცენტრში დარჩენა, მაგრამ პავლე ფრანგიშვილმა შეგნებულად აირჩია ძველებური ტერმინით რომ ვთქვათ — „პროვინცია“. იგი როგორც ხალხის შვილი, როგორც კომუნისტური პარტიის შვილი, გრძნობდა, რომ პროვინციას უფრო სჭირდებოდა დახმარება.

„პროვინცია, — წერს გაზეთი „მუშა“ 1928 წლის 10 ნოემბრის ნომერში, — ჩვეულებრივად ნიშნავს გაცვეთილ და დრომოჭმულ რეპერტუარს, მდარე იაფფასიანი თეატრალური ფორმებისა და პრიმიტიული სასცენო ტექნიკის ნიადაგზე აგებულ სანახაობას. მიმდინარე თეატრალური სეზონი (ლაპარაკია ჭიათურის თეატრის სეზონზე, ნ. კ.), ასეთი მდგომარეობის აღმომფხვრელი ტენდენციებით ხასიათდება. და უკვე თვალსაჩინო ნიშნები მოგვეპოვება, რომ მალე ცენტრსა და პროვინციის თეატრალური ცხოვრება შემოქმედებითი ხარისხობრივობის მხრივ ისეთი ღრმა ზღვარით აღარ იქნება გამიჯნული. ასეთია პირველი დასკვნა, მიღებული იმ დადგმის ნიადაგზე, რომლითაც გაიხსნა ჭიათურის საქალაქო თეატრის სეზონი“.

ჭიათურის თეატრის შემოქმედებითი ავტორიტეტი ყოველ-

დღიურად იზრდება. თეატრის ხელმძღვანელობამ შესძლო ჭიათურის მუშათა ფართო წრეების ჩაბმა თავის საქმიანობაში. ყოველ ახალ წარმოდგენას სულ უფრო და უფრო მეტი მაყურებლები ესწრებიან. ხოლო თეატრის კოლექტივი სისტემატურად მართავს გამსვლელ წარმოდგენებს ადგილებზე — მაღაროებთან არსებულ კლუბებისა და კულტურის სახლების სცენაზე, რის გამოც თეატრის კოლექტივმა ჭიათურის მაღაროელი მუშების სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა.

ამიტომ არის, რომ ასეთ გულთბილ შეფასებას აძლევს თეატრს გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი". „გულახდილად უნდა ვთქვათ, — წერს გაზეთი, — ამ კომედიის დადგმით („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") ჩვენ ვნახეთ უნაკლო სპექტაკლი. ამის თქმა კი ჩვენთვის არც ისე ადვილია, რადგან იმ როლებში, რომლებშიც ჭიათურის მსახიობები გამოვიდნენ — ჩვენ გვინახავს ქართული თეატრის კორიფეები — ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი.

თავიდან ბოლომდე მაყურებელი გრძნობდა, რომ ის უყურებდა ოსტატურად გაკეთებულ სპექტაკლს. არცერთი ყალბი ხაზგასმა, რომელსაც ადვილად შეუძლია კომედიის ტიპების გაშარჟება, ჩვენ არ შეგვიმჩნევია... ყველა მსახიობი კეთილსინდისიერად ასრულებდა როლს და ამით შექმნეს ანსამბლის ძლიერი შთაბეჭდილება. ცხადია, ეს მიღწევები მიეწერება პავლე ფრანგიშვილის გამოცდილ რეჟისორულ და მსახიობურ ხელს და მის ოსტატობასთ".

შეიძლება ზოგიერთმა თქვას, რომ ავ. ცაგარლის ცნობილი პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" მეტად პოპულარულია და მისი დადგმა ადვილიაო. ჩვენ მოვიყვანთ დღევანდელი ავტორების მიერ თანამედროვე ცხოვრებაზე დაწერილი პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის შეფასებასაც.

„მეტოქენი" (აკ. ბელიაშვილისა და მ. ჯაფარიძის პიესა), — წერს იგივე — „ჭიათურის მაღაროელი", — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ფრანგიშვილის დადგმით ლამაზი და მიმზიდველი სპექტაკლი გამრვიდა. დადგმა სადა და ნათელია. იგრძნობა მზრუნველი საქართველოს კოლორიტი და აყვავებული ცხოვრების სითბო. სპექტაკლში კარგადაა მოცემული კოლმეურნე გლეხობის ბედნიერი ცხოვრება. დამდგმელს საკოლმეურნეო სოფლის მზიური ცხოვრების ფონზე, კარგად აქვს ხაზგასმული მავნებელთა უბადრუკი

და განწირული მდგომარეობა... „მეტოქენი“ ლამაზი, გამართული და მონდომებით დამუშავებული სპექტაკლია“.

ახლა მოვუსმინოთ ჩვენს გამოჩენილ მწერლებს და თეატრის მოღვაწეებს თუ რა აზრისანი არიან ჭიათურის თეატრის კოლექტივზე და მის სპექტაკლებზე. აი, როგორი აღფრთოვანება გამოსთქვა მწერალმა ია ეკალაძემ ამ თეატრის მუშაობის გამო, როცა ჭიათურის სცენაზე მისი პიესა იქნა განხორციელებული.

„განცვიფრებული კი არა, გახარებული ვარ ჭიათურელთა თანაშრომლით, — წერდა იგი, — ქართველი ახალგაზრდობის ნიჭში მე არასოდეს ეპქვი არ ქონდა, მაგრამ ნიჭსაც წვრთნა უნდა, მუშაობა, დაკვირვება და ნამეტნავად საქმის სიყვარული. ჭიათურელებს არცერთი აკლიათ, არც მეორე და არც მესამე.

ასეთი სიყვარული საქმისადმი პროვინციის სცენას კი არა, დიდი ქალაქის სცენასაც დაამშვენებდა.

რაც შეეხება პიესის დადგმას, სწორედ ცოცხალი შემოქმედებით არის სავსე. ძალები საერთოდ ნიჭიერნი არიან. ამ დადგმაში თვით მე ბევრი რამ ახალი განვიცადე სცენიური ტექნიკისა, რასაც შემდეგში გამოვიყენებ. თუ კი რაიმე ბეირიანი გამომივიდა ხელიდან, პირველ ყოვლისა ჭიათურელებს ვუძღვნი. ახლა კი მადლობას მოვახსენებ მათ იმ ტკბილი წუთებისათვის, რომელიც მათ გამაცდევინეს. ასეთი ძალებით ყოველთვის შეიძლება პროვინციის სცენისა და საზოგადოების გამოცოცხლება. ვაშა ჭიათურელებს!“

„რაც შეეხება აღსრულებას და დადგმას, — წერს რესპ. სახალხო არტისტი ალ. იმედაშვილი მ. ქოჩორაძის „ბრმა მუსიკოსის“ დადგმაზე. — სავსებით დამაკმაყოფილებელია და ბევრი ადგილები საუცხოოდ იყო მოცემულიო“.

ასეთსავე მაღალ შეფასებას აძლევს ჭიათურის თეატრის დადგმას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი აკ. ფალავა, რომელიც წერს, — „ხანუმა“ თავიდან ბოლომდე ინტერესით მიმდინარეობს რესპ. დამს. არტისტის პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში. ეს სპექტაკლი მთლიანად ჩვენი ცენტრის წარმოდგენებს უტოლდებაა... განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ. აბაშიძე (ხანუმა) და პ. ფრანგიშვილი, როგორც პიესის დამდგმელი და აკოფას შემსრულებელი. (1939 წ. 30 იანვარი. ჭიათურის თეატრის მუზეუმის მასალები).

ჰიათურის თეატრის შეკვეთით ჰიათურის ცხოვრებიდან ჩვენმა მხცოვანმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ შალვა დადიანმა დაწერა პიესა „ცოცხი და ლოკოკინა“. აღნიშნული პიესა დაიდგა 1930-31 წლის სეზონში. სხვათა შორის წარმოდგენის პრემიერას დაესწრო თვით ავტორი, რომელმაც მოკლედ გამოხატა თავისი შთაბეჭდილება ქვემოთ მოყვანილ სიტყვებში:

„დავესწარი ჩემი „ცოცხი და ლოკოკინას“ წარმოდგენას, ვნახე მისი თეატრალური განსახიერება. ჰიათურის თეატრის მიერ სპექტაკლი აუცილებლად კარგად და შესაფერისად არის მოფიქრებული. მუშაობის პროცესის ჩვენება, მასობრივი სცენების განლაგება უთუოდ სხარტი განზრახვის შედეგია.

კერძოდ ამსრულებლები მაღლდებიან ტიპიურობამდე და მაყურებლის ხსოვნაში უთუოდ სტოვებენ ერთგვარ სახეს კომედიურს.

საერთოდ კოლექტივს აუცილებლად ეპიჩნევა დისციპლინა და ხელმძღვანელის გეგმიანი მუშაობა.

კოლექტივს აქვს უფლება ამ წარმოდგენითაც საპატიო ადგილი დაიკავოს ქართული თეატრის მოწინავე რაზმში და ცოტა სალაშინის გაკერის შემდეგ, ჩვენს დედაქალაქშიაც გამოფინოს ეს ნამუშევარი.

პირადად მე ვარ მადლიერი ხელმძღვანელისა და კოლექტივისა პიესისადმი სიყვარულით მოპყრობისა და ტექსტის შეურყვნელობისათვის“.

მალე ჰიათურის თეატრი საგასტროლოდ ჩამოდის თბილისში.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი იყო სანდრო შანშიაშვილის „ბრაზი“ (ყამირი) და „პროტექცია“, ვ. გაბესკირიას „ზღაური“ და ია ეკალაძის — „ზეინკალი“. გასტროლები დაიწყო იმ შენობაში, რომელშიაც ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრია მოთავსებული. პირველ დღესვე თეატრს დედაქალაქის მრავალი მაყურებელი მიაწყდა.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქუთაისის თეატრი 1929 წელს ჩამოვიდა თბილისში საგასტროლოდ, რომლის შემდეგაც ეს თეატრი დარჩა თბილისში და მეორე სახელმწიფო დრამის თეატრად იქნა აღიარებული, ხოლო შემდეგ კი მარჯანიშვილის სახელი ეწოდა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობიდან ჰიათურის მუშათა თეატრი პირველი პერიფერიული თეატრი იყო, რომელმაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში მოაწყო თავისი გასტროლები. პავლე ფრანგი-

შვილის ხელმძღვანელობით ჭიათურის მუშათა თეატრმა პირველ ბრწყინვალედ დაიწირა გამოცდები დედაქალაქის მაყურებლის წინაშე.

„ჭიათურის მუშათა თეატრი, — წერს თავის მოგონებაში ცნობილი ქართველი დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი, — პერიფერიის პირველი თეატრთაგანი იყო ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში, რომელიც თბილისში საგასტროლოდ იქნა მოწვეული. მისმა მაღალკვალიფიციურმა საგასტროლო სპექტაკლებმა — „ზეინკალი“, „ზღვაური“, „ბრაზი“ (ყამირი) და „პროტექცია“ სრულიად გააქარწყლა პროვინციასა და ცენტრის შორის ზღვარი. ჭიათურის მუშათა თეატრის სპექტაკლებს, — დასძენს შანშიაშვილი, — დიდი წარმატება ხვდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მაყურებლებში.

პირადად მე გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩემი პიესები კნაზე ამ თეატრში — „ბრაზი“ და „პროტექცია“. ეს სპექტაკლები ჯერ ერთი კარგად იყო დახვეწილი და მეორეც ბევრი ისეთი რამ იყო შეტანილი და გაკეთებული, რომელიც მე არც მქონდა წარმოდგენილი. როცა მათ ვწერდი. ცხადია, ყველაფერი ეს მიეწერება ამ თეატრის ხელმძღვანელს, ნიჭიერ რეჟისორს პავლე ფრანგიშვილს და ასევე თეატრის ნიჭიერ კოლექტივს“.

„დღევანდელი დღის უდიდესი ამოცანაა, — წერდა ჟურნალი „დროშა“, — დავუახლოვოთ ხელოვნება მასებს, ჩავაბათ მშრომელთა ფართო მასები ხელოვნებაში. ამ მიზნით, იქმნება მრავალი წრეები საწარმოებში, მუშათა კლუბებში, მუშათა თეატრებში და სხვ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჭიათურის მუშათა თეატრიც. ეს პირველი ცდაა საქართველოში მუდმივი მუშათა თეატრის შექმნისაო“.

„ამ თეატრში მუშაობენ, — განაგრძობს იგივე ჟურნალი „დროშა“ თავის 1930 წლის 1 მაისის ნომერში, — ახალგაზრდა მუშები, რომლებიც მომავალში სცენის საუკეთესო ოსტატები დადგებიან. თეატრს დიდი მუშაობა ჩაუტარებია მუშებისაგან მსახიობების აღსაზრდელად. თეატრმა გვიჩვენა ოთხი დადგმა, რომლებიც უახლოვდებიან აკადემიური თეატრის დადგმებს. თეატრმა პირველ დადგმად გვიჩვენა ს. შანშიაშვილის „ბრაზი“. ეს პიესა უაღრესად აქტუალურ საკითხებს აშუქებს. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ფონზე — აი, ამ პიესის დედა-

აზრი.. თეატრმა სწორედ გაიგო და კარგადაც ასახა ამ პიესაში მოცემული კლასობრივი ბრძოლა და კოლექტივიზაციის მნიშვნელობა".

„ჰიათურის მუშათა თეატრს მიმდინარე სეზონში რეჟისორ ფრანგიშვილის მეთაურობით მეტად ენერგიული მუშაობა უწარმოებია რევოლუციური რეპერტუარის შესაქმნელად და პიესების მხატვრულად დადგმისათვის, რასაც ნათლად ამტკიცებს, როგორც თეატრის რეპერტუარი, ისე 16 აპრილს პირველად დადგმული წარმოდგენა „ბრაზი". უნდა აღინიშნოს, რომ ჰიათურის მუშათა თეატრის მიერ ამ პიესის დადგმა უფრო მარტივია და მაყურებლისათვის გასაგები, ვიდრე რუსთაველის თეატრისა" (გაზეთი „მუშა", 1930 წ. 19 აპრილი, № 2226).

ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევდა ჰიათურის თეატრის სპექტაკლებს გაზეთი „კომუნისტი".

„ჰიათურის მუშათა თეატრმა დაიმსახურა ჰიათურის მუშების სიყვარული. თბილისში ჰიათურის თეატრის გასტროლები დაიწყო 16 აპრილს, დაიდგა „ბრაზი", „ზღვაური", „პროტექცია" და „ზეინკალი". არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი დადგმა და მსახიობთა თამაში უნაკლოა. მაგრამ ეტყობა, რომ ჰიათურის მუშათა თეატრს თავისი ხელმძღვანელის პ. ფრანგიშვილის მეთაურობით ჩაუტარებია დიდი მუშაობა და მიუღწევია საგრძნობი შედეგებისათვის. რაც მთავარია, თეატრს დაუღწევია თავი ხალტურისაგან, თეატრი უახლოვდება ჩვენს აკადემიურ თეატრებს. გასტროლებმა დაგვანახვა, რომ ფრანგიშვილს შესწევს უნარი და გამოცდილება გაუძღვეს თეატრს („კომუნისტი", 1930 წ. 25 აპრილი, № 95).

შესანიშნავად ჩატარდა ჰიათურის თეატრის გასტროლები თბილისში. თბილისელი მაყურებლები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ. ეს ღონისძიება უდიდესი მოვლენა იყო თეატრალური ცხოვრების დარგში. ჰიათურის თეატრის გასტროლებით თბილისში პ. ფრანგიშვილმა ნათლად გვიჩვენა, რომ ალარ არსებობს განსხვავება ცენტრსა და პერიფერიის შორის. განსხვავება მხოლოდ სახელებშიღა დარჩა. თურმე პერიფერიაშიც შეიძლება მაღალხარისხოვანი სპექტაკლების შექმნა.

[illegible] რა მხედველობაში პავლე ფრანგიშვილის დამსახურება ხელოვნების დარგში, განსაკუთრებით კი თეატრალური ხელოვნების დარგში, საქართველოს სსრ ცთავრობამ 1934 წელს პავლე ფრანგიშვილს მიანიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

ამის შემდეგ თეატრი და მისი ხელმძღვანელი როდი გაამაყდნენ ქებითა და წარმატებებით. პირიქით, ჭიათურის თეატრის კოლექტივი პავლე ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით კვლავ განაგრძობს უფრო მეტი ენერგიით მუშაობას. და სულ მალე იგი გასტროლებს აწყობს ქუთაისში, ზესტაფონში, მახარაძეში, სტალინირში და სხვ. აი, რას წერს ქუთაისის გაზეთი „სტალინელი“ თავის 1936 წლის 15 თებერვლის ნომერში.

„პლატონ კრეჩეტი“ ისე ორიგინალურად განასახიერა ჭიათურის მუშათა თეატრმა რეჟისორ პ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით, რომ ჩვენ გულწრფელი სალამის მეტი არაფერი დაგვრჩენია. პ. ფრანგიშვილს ამ დადგმით სრული უფლება აქვს განაცხადოს — თეატრმა უდავოდ გაიმარჯვა და თუ მსახიობები ალაზნისპირელი (პლატონი), მ. ჩუბინიძე (ბერესტი), თ. მაკარაშვილი (ლიდია), გ. კეკელიშვილი (არკადი), თ. აბაშიძე (მარია), ნ. კაკაბაძე (ბოჩკარიოვა), უ. სამხრაძე (სტიოპა) და გრ. ტყაბლაძე (ბუბლიკი) ასე კარგად ასრულებენ როლებს, ამ მსახიობებთან ერთად პ. ფრანგიშვილსაც მადლობა ეკუთვნის!“

ჭიათურის თეატრის სპექტაკლები ხიბლავდა არა მარტო ჭიათურელებს, არამედ ამ ქალაქში ჩასულ სტუმრებსაც. აი, მაგალითად რას წერენ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ 1938 წლის 11 იანვრის ნომერში ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი მედიცინის მუშაკები:

„ჩვენ ვნახეთ ჭიათურის მუშათა თეატრში ერთი სპექტაკლი — საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებით გაჟღენთილი, ახალგაზრდა დრამატურგ გ. ძიძიგურის „სამშობლო“.

პიესის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს პ. ფრანგიშვილს, რომელსაც მოფიქრებულად, დამაჯერებლად და მხატვრულ ფორმებში გადაუწყვეტია ჩვენი საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის პასუხსაგები თემა.

ამ სპექტაკლით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჭიათურის თეატრის სახით, რაიონის მშრომელებს ეწევათ მაღალკვალიფიციური კულტურული მომსახურება“. წერილს ხელს აწერდნენ პროფ. ვ. ბუხაძე, პროფ. ნ. ბახვილაძე, დოც. ჯავახიშვილი, დოც. ა. ვეფხვაძე და სხვ.

პავლე ფრანგიშვილმა თითბერი წელი დაჰყო ჭიათურის თეატრში. ამ ხნის განმავლობაში მან ჭიათურაში განახორციელა 133-ზე მეტი დადგმა. იგი გამოდიოდა აგრეთვე სხვადასხვა როგორც თეატრ, ისე მეორეხარისხოვან როლებში, როგორც მსახიობი. ჭიათურის

თეატრის პავლე ფრანგიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო. მან ქიათუ-რაში დასტოვა შესანიშნავად დაკომპლექტებული თეატრალური კო-ლექტივი. მან აღზარდა ახალი კადრები, მსახიობთა ახალი პლეადა, რომლებიც დღესაც გაბნეული არიან საქართველოს სხვადასხვა თე-ატრებში — ჭიათურაში მიხ. ვაშაძე, გრ. ტყაბლაძე, ს. ცომაია, ბ. დურმიშიძე, მ. კუსიანი, შ. ბანეთიშვილი, ვ. სვანელი, იქიდანვე წამოვიდნენ — მ. ჩუბინიძე, თ. მაკარაშვილი, ვ. ჩელთისპირელი, პ. ახვლედიანი, გ. გაბუნია, გ. კევლიშვილი, ქ. კევლიშვილი, გ. კიკნაძე, და სხვ.

ასეთი ღვაწლმოსილი წავიდა პავლე ფრანგიშვილი შავი ოქროს ქალაქიდან და შეუდგა არანაკლებ დიდ საქმეს. პავლემ იცის, რომ თეატრი ეს იგივე კულტურის ფრონტია, საიდანაც როგორც ჯარის-კაცს ერთი ფრონტიდან მეორე ფრონტზე გადაისვრიან ხოლმე. მის-თვის მართალია შვილებივით აღზრდილი კოლექტივის წევრების მი-ტოვება ძალიან ძნელია, მაგრამ მან იცის, რომ მას აკისრია უფრო მეტი პასუხსაგები ამოცანა და მას არ შეუძლიან უარი თქვას ამ სა-პატიო ამოცანის შესრულებაზე. იგი სიხარულით მიდის ახალი მუდ-მივი პროფესიული დასის შესაქმნელად ქალაქ გორში.

თავი მეშვიდე

გორში

გორის გაზეთ „სტალინელის“ 1939 წლის 14 აგვისტოს ნომერში ვკითხულობთ:

ქართლის შუაგულში, ქალაქ გორში, ოქტომბრის დღესასწაულების დღეებში გაიხსნება ახალი თეატრი, რომლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება; საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა, გორის თეატრის ხელმძღვანელად დაამტკიცა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პაელე ფრანგიშვილი. დასი შევსებულია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სათეატრო სასწავლებლის კურსდამთავრებულებით.

15 აგვისტოს თეატრი შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

როგორც ცნობილია, გორი ძველი თეატრალური ქალაქია. გორში თეატრალურ სპექტაკლების წარმოდგენას დიდი ხნის ისტორია აქვს. თავის დროზე აქ ცხოვრობდნენ ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებელი, პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი, დრამატურგი ზ. ანტონოვი, პირველი პროფესიული მსახიობი გ. დვანაძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ნ. შიუკაშვილი, ია ეკალაძე. უნიჭიერესი მსახიობი ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ქართული სცენის გამოჩენილი მსახიობი გიორგი არადელი-იშხნელი და მრავალი სხვანი.

ეს ისტორიული ქალაქი ბოლო წლებამდე მოკლებული იყო ნამდვილ თანამედროვე კულტურულ სათეატრო შენობას. საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით 1937 წლის დასაწყისში საძირკველი ჩაეყარა ახალი თეატრის მშენებლობას, რომელიც 1939 წელს დამთავრდა. მაგრამ მარტო თეატრის შენობა როდი შველის საქმეს — რაც არ უნდა კარგი შე-

ნობა არ იყოს, რა კარგადაც არ უნდა იყოს მოწყობილი თეატრი, თუ მასში ნამდვილი შემოქმედება არ ჩქეფს და ნამდვილი შემოქმედებითი კოლექტივი არ არის. რომელიც მაღალხარისხოვანი სპექტაკლებით გაუმასპინძლდება საზოგადოებას, ისე მას რა აზრი ექნება. მაგრამ ამისათვის ხომ საჭიროა თეატრის კარგი ორგანიზატორი, გამოცდილი რეჟისორი, რომელიც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგება და გაუძღვება კიდევაც.

და ვის უნდა რგებოდა წილად გორში ახლად აშენებულ თეატრში ახალი თეატრალური კოლექტივის ჩამოყალიბება და მისი გაძღოლა, თუ არა გამოცდილ ადამიანს, და შალვა დადიანის სიტყვებით, რომ ვთქვათ „შესანიშნავ ორგანიზატორს, დრამატული დასებისა და სეზონების შეუდარებელ წამყვანს“ — პავლე ფრანგიშვილს? მან ხომ ეს პრაქტიკულად დააბტკიცა ნაძალადევის, ფოთისა და ჭიათურის თეატრების და მისი კოლექტივების შექმნაში. სწორედ გორის თეატრს სჭირდებოდა ახლა ასეთი ადამიანი — „მუდამ ცეცხლოვანი, მუდამ აღფრთოვანებული ქართული თეატრის წინსვლით და აღორძინებით“. მით უმეტეს, რომ გორის თეატრმა ამიერიდან უნდა ატაროს დიდი ქართველი პოეტის, დრამატურგისა და ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის საპატიო სახელი! განუზომელია გიორგი ერისთავის დამსახურება ქართული კულტურის ისტორიის წინაშე. იგი იყო სულისჩამდგმელი მრავალი იმდროინდელი კულტურული წამოწყებისა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული თეატრი.

პავლე ფრანგიშვილი დიდის ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას გორის თეატრში. მან ჩაუყარა საძირკველი ახალ მუდმივ პროფესიულ თეატრალურ დასს. თეატრმა იმ ხანად თავის გარშემო შემოიკრიბა ისეთი მხატვრული ძალები, რომლებიც სავსებით უზრუნველჰყოფდნენ იმ გრანდიოზული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რასაც ჩვენი მაყურებლები საბჭოთა თეატრს უყენებდნენ.

გორის თეატრის დასში შედიოდნენ: რესპ. დამს. არტისტები თ. აბაშიძე, ნ. ნინონი, მ. იველიელი, შ. ხერხეულიძე, შ. ხაჟალია; მსახიობები: ლ. გოგნიაშვილი, სტ. გრიქუროვი, მ. ბახტაძე, თ. ლოლაძე, ახალგაზრდები — ნ. ბეროზაშვილი, ს. კალანდარიშვილი, ალ. შონია, შ. ლელაშვილი, შ. ბახტაძე, ნ. აღლაძე, გ. ქვეითაია,



ი. გედევანიშვილი—„გადასასვლელზე“ გ. ერისთავის სახ. გორის თეატრში, დადგმა პ. ფრანგიშვილისა



„თავისთავის დარაჯი“ აკ. წერეთლის სახ. პიესთატრის თეატრში, დადგმა პ. ფრანგიშვილისა

რ. გოგებაშვილი, ე. არაქელოვი, ალ. კალანდარიშვილი, რეჟისორები ს. ვაჩნაძე, ო. ალექსიშვილი, კომპ. გ. ლაფერაშვილი, მხატვარი ა. ჟორდანია და სხვ.

1940 წლის 30 იანვარს გაიხსნა გორის თეატრის სეზონი ცნობილი ქართველი დრამატურგის ი. გედევანიშვილის პიესით „გადასასვლელზე“. ამ პიესის ამორჩევა შემთხვევითი როდი იყო. პიესა ასახავს 1900—1906 წლების პერიოდს, როდესაც ახალგაზრდა სტალინი ამიერკავკასიაში მოღვაწეობდა. პიესა თავისი ფორმითა და დრამატული კომპოზიციით წააგავს შალვა დადიანის „ნაპერწკლიდან“-ს, მხოლოდ ავტორს მოქმედების არედ აღებული ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველო. სხვათა შორის ავტორმა ეს პიესა სპეციალურად დაწერა გორის ახალი თეატრის გახსნისათვის.

აღნიშნული წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა გორის თეატრში. აი, ამ სპექტაკლის შესახებ რას წერს მწერალი აკ. ბელიაშვილი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ 1940 წლის № 23-ში:

„გადასასვლელზე“-ს დადგმით პ. ფრანგიშვილი უცბად მოექცა მეტად რთული ამოცანის წინაშე. ჯერ ერთი, დამდგმელის წინაშე იყო სრულიად ახლად შეკრებილი დასი, შემდგარი სხვადასხვა შემოქმედებითი სკოლის ზეგავლენაში მყოფ ახალგაზრდებისაგან, უფრო კონგლომერატი, ვიდრე ერთბუნებოვანი მასა და, მეორეც ის, რომ ამ პიესაში იყო უამრავი მოქმედი პირი, რაც ახლად შეკრებილ დასს ძლიერ უძნელებს მუშაობას... მაგრამ, — დასძენს რეცენზენტი,—პავლე ფრანგიშვილი რეალისტური სკოლის რეჟისორია და მან სპექტაკლიც ამ მიმართულებით განახორციელა. მართალია, დადგმას ახასიათებდა ზოგიერთი ხარვეზი, მაგრამ, მთლიანად, ჩვენ ვნახეთ ის სასიამოვნო და მხატვრული ღირსებით დაჯილდოებული სპექტაკლი, რომელიც გაზრდილი გემოვნებით აღსავსე საბჭოთა მაყურებელს საესებით აკმაყოფილებს“.

აჯამებს რა ერთი წლის მუშაობის შედეგებს, გორის თეატრის ხელმძღვანელი პავლე ფრანგიშვილი წერს: „გორის სახელმწიფო თეატრი და მთელი მისი კოლექტივი უდიდესი სიხარულით იწყებენ თავის მეორე შემოქმედებით წელს. თუ წარსულ წლებში ადგილობრივი დასის საშუალებით წელიწადში მხოლოდ 20—30 წარმოდგენა იდგმებოდა, სამაგიეროდ ჩვენ ამ ერთი წლის მანძილზე გორელ მაყურებელს ვუჩვენეთ 10 ახალი პიესა და 224 წარმოდგენა; ეს დადგმები — 67.200 მაყურებელმა ინახულა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, — დასძენს პ. ფრანგიშვილი, — არც სოფელს ვივიწყებდით. ჩვენი დადგმები კოლმეურნეობებშიაც გაგვქონდა. გორის თეატრის კოლექტივმა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთი წლის მანძილზე 18 წარმოდგენა უჩვენა. ყველგან, ყველა სოფელში თეატრის კოლექტივის ჩასვლას კოლმეურნე გლეხობა დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ხვდებოდა".

გამოცდილმა რეჟისორმა და თეატრის ორგანიზატორმა პავლე ფრანგიშვილმა კარგად იცის, რომ თეატრის წარმატების ერთ-ერთი და მთავარი ფაქტორია რეპერტუარის საკითხი. მან ეს იცის თავისი მუშაობის პრაქტიკიდან. ამიტომ პავლე ფრანგიშვილი მიმართავს თავის ნაცად ხერხს. რომელსაც ადრეც გაუმართლებია და რომლითაც ჭიათურის თეატრი გამარჯვებამდე მიიყვანა. პავლე ფრანგიშვილი გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ იმავე სტატიაში წერს: „როგორც განვლილ, ისე 1940-41 წლის სეზონში მთავარი ყურადღება თანამედროვე ორიგინალურ პიესებს ექნება დათმობილი, რომლებშიაც ასახული იქნება ჩვენი მიღწევები, საბჭოთა პატრიოტიზმი, თავდადება და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ზრდისა და აღმავლობისათვის ბრძოლა".

შემდგომ ჩამოთვლილია ის პიესები, რომლებიც უნდა განეხორციელებინა თეატრს. მაგრამ ეს სეზონი დაემთხვა ომის დაწყებას. როგორც ცნობილია, 1941 წლის 22 ივნისს ჩვენს ქვეყანას მოულოდნელად თავს დაესხა თავით-ფეხებამდე შეიარაღებული ფაშისტური გერმანია, რომელსაც საბჭოთა ხალხმა უპასუხა სამამულო ომით. ამიერიდან საჭირო შეიქმნა ისე, როგორც სხვა ორგანიზაციებს, თეატრსაც თავისი მუშაობა გარდაექმნა საომარ ყაიდაზე, თეატრს უნდა დაედგა ისეთი პიესები, რომლებიც სამშობლოს თავდაცვასა და პატრიოტიზმს განამტკიცებდნენ. პავლე ფრანგიშვილმაც, როგორც საბჭოთა ქვეყნის პატრიოტმა და ხალხის შვილმა, გორის თეატრის მუშაობა საომარ ყაიდაზე გარდაქმნა.

„მაყურებლებით გაჭედილი თეატრის დიდ დარბაზში მჭუხარედ გაისმოდა ორატორთა პატრიოტული სიტყვები. გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი პ. ფრანგიშვილი მაყურებელთ უამბობდა ფაშისტური გერმანიის ოინებზე, ყაჩაღობაზე და მუხანათობაზე, რომელიც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს

ჩვენი მშვენიერი სამშობლოს მიმართ უოველგვარი მიზეზისა და საბაბის გარეშე.

— მტერს, გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმს, ჩვენი ხალხი შეუბრალებლად გაანადგურებს. წითელი არმიის მამაცი მებრძოლები გმირულად იცავენ სოციალიზმის ქვეყნის საზღვრებს, ხალხის თავისუფლებას და ბედნიერ ცხოვრებას — პატრიოტულად შესძახა აჰხ. პ. ფრანგიშვილმა". („სტალინელი", 1941 წ. 27 ივნისი, № 76).

ასეთივე მგზნებარე სიტყვით გამოდის პავლე ფრანგიშვილი იმავე წლის 5 ივნისის საქალაქო მიტინგზე. ხოლო გორის თეატრის კოლექტივმა იკისრა თავდაცვის ფონდში უოველთვიურად 1500 მანეთის შეტანა და თვეში ორჯერ თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად გამოსასვლელ დღეებში სპექტაკლების გამართვა. ასე გამოეხმაურა მგზნებარე პატრიოტი, სამშობლოს ერთგული შვილი, პავლე ფრანგიშვილი სამამულო ომის დღეებში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების საქმეს.

გარდა ამისა, შესაკრებ პუნქტებზე ფართოდ გაშალა კულტმასობრივი მუშაობა გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა. იგი სისტემატურად მართავდა კონცერტებს, თეატრი შესაკრებ პუნქტებზე უჩვენებდა აკაკი წერეთლის „პატარა კახს" და სხვა პატრიოტულ სპექტაკლებს, რაც მაყურებლებში აღვივებდა სამშობლოსადმი სიყვარულს და მებრძოლებს მოუწოდებდა გამარჯვებისაკენ.

გორის თეატრის ხელმძღვანელობა ახდენს თავის რეპერტუარის გადახალისებას და შეაქვს ისეთი პიესები, რომლებიც ამახვილებენ საბჭოთა ქვეყნის მებრძოლებში პატრიოტიზმს და საბრძოლო უნარიანობას. ასეთებია, ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი", დ. ერისთავის „საჭმობლო", ალ. ყაზბეგის „არსენა", გ. მდივნის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", შ. ნარსიას და ალ. სამსონიას „პარტიზანებთან", სნეგიროვის — „იაროსლავ ილეკი", კ. სიმონოვის „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", ბრუნშტეინის „გაგრძელება იქნება" და სხვ.

თეატრმა თავის მაყურებელს ომის პირველ დღეებშივე უჩვენა ი. სნეგირევის ანტიფაშისტური პიესა „იაროსლავ ილეკი". ეს იყო გერმანელი ფაშისტი ბარბაროსებისადმი უდიდესი ზიზღით და გულისწყრომით გამსჭვალული ნაწარმოები, რომელიც დაუზოგავად ხდიდა ნიღაბს და მკაცრად ამხილებდა ფაშიზმის ველურ სახეს. პიე-

სის მოქმედება გაშლილი იყო ჰიტლერის მიერ დაპყრობილ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ პრაღის ფონზე, რომელიც გესტაპოელთა სისხლიანი თარეშის სარბიელად იყო ქცეული. გორის სახელმწიფო თეატრმა ამ პიესის საფუძველზე შექმნა მაღალმხატვრული სპექტაკლი, რომელიც დიდძალ მაყურებელს იზიდავდა და ცხოველ გამოძახილს პოულობდა მათში. ამაში იყო პიესის დამდგმელის პავლე ფრანგიშვილის და წარმოდგენის მონაწილეთა დიდი დამსახურება.

1942 წელს 30 და 31 მაისს გორის თეატრმა პავლე ფრანგიშვილისავე დადგმით უჩვენა მეორე ანტიფაშისტური სპექტაკლი — გ. ქელბაქიანისა და მიხ. გოგიაშვილის პიესა „ბარონ ოსკარ ბრანდერი“.

გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მთელი თავისი მუშაობა ფრონტის ინტერესებს, ვერაგ მტერზე გამარჯვების ინტერესებს დაუქვემდებარა.

თეატრმა სამამულო ომის პერიოდში 260 საშეფო კონცერტი გამართა. მსაბიობმა ქალებმა შეფობა აიღეს ჰოსპიტალზე; მრავალმა მათგანმა იქ მადლობებიც მიიღეს. ამავე დროს თეატრმა 14 წარმოდგენის მთელი შემოსავალი 26.000 მანეთის რაოდენობით გადარიცხა თავდაცვის სახალხო ფონდში, ხოლო თეატრის კოლექტივს სატანკო კოლონის მშენებლობის ფონდში შეაქვს 43.000 მანეთი ფულად. თვით პავლე ფრანგიშვილი ცენტრალური სამხედრო-საშეფო კომისიის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ლიუბეცკიმ, 250 წარჩინებულ მუშაკთან ერთად, სამამულო ომის პერიოდში სამხედრო-საშეფო მუშაობის ღირსეულად შესრულებისათვის ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ამავე წლებში თეატრი არ ივიწყებს დიდ კლასიკოსების ნაწარმოებებსაც და ერთი წუთითაც არ ანელებს თავის შემოქმედებით ზრდასა და წინსვლას. თეატრის კოლექტივი ამ პერიოდში დგამს რთულ კლასიკურ ნაწარმოებს: შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულებას“, შილერის „ყაჩაღებს“, სუმბათაშვილის „ღალატს“ და სხვ.

„გორის სახელმწიფო თეატრმა წელს სეზონი გახსნა ისეთი რთული კლასიკური კომედიით, როგორიც არის შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“. ეს სპექტაკლი გამოცდა იყო თეატრის ახალ-

გაზრდა კოლექტივისათვის და უნდა აღვნიშნოთ, რომ თეატრმა ეს გამოცდა კარგად ჩააბარა.

რეჟისორმა პავლე ფრანგიშვილმა გვიჩვენა თეატრალური გამომგონებლობის უნარი და ფანტაზია. სურათები სათანადოდ არის მოფიქრებული და გათამაშებული. ორიგინალურად არის გადაჭრილი სპექტაკლის ფინალი" („კომუნისტი" 1943 წ. 26 ივნისი).

„რესპუბლიკის სახალხო არტისტის, რეჟისორ პავლე ფრანგიშვილის მხატვრული კულტურა და ფართო შესაძლებლობა სპექტაკლის ყოველ დეტალში გამოსჭვივის, — წერს გორის გაზეთი „სტალინელი". — „ღალატი" მთლიანი ჰარმონიული, ამაღლებული და ფსიქოლოგიურად მრავალფეროვანი სანახაობაა. დამდგმელის დიდ ალღოს მივაწერთ „ღალატის" ხალხურობის ახლებურ გააზრებას და მოპირდაპირე სასიათების მძაფრად გამოძერწვას".

„ყაჩაღები" გორის სახელმწიფო თეატრში დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პავლე ფრანგიშვილმა. იგი ძველი ქართული რეალისტური სკოლის ხელოვანია და მისი დადგმებიც გამოირჩევა მხატვრული დამაჯერებლობით. ასეთია მისი ახალი დადგმაც „ყაჩაღები".

„ყაჩაღები" ჩვენს მაყურებელს იზიდავს, როგორც სასტიკი პროტესტი დესპოტიზმის წინააღმდეგ, თავისუფლების ჩამხშობთა წინააღმდეგ. თეატრმა ეს იდეა სპექტაკლში წინა პლანზე წამოსწია და სცენიდან ახალი ძალით გაისმა შილერის სიტყვები მოძალადეთა წინააღმდეგ.

გორის ახალგაზრდა თეატრმა მეორედ გვიჩვენა კლასიკური პიესა. იგი როგორც შექსპირის „პირველეული ცოლის მორჯულება", შილერის „ყაჩაღები" გორის თეატრის კოლექტივის აქტიორული ოსტატობის ზრდის მაჩვენებელია" („კომუნისტი", 1944 წ. 11 ივლისი, № 140).

გაზეთი „სტალინელი" წერს: „ახლოხანში შესრულდება გორის სახელმწიფო თეატრის არსებობის ხუთი წლისთავი. ქალაქ გორს ღირსეული თეატრი აქვს, რომლის შემოქმედებითი მუშაობა გულთბილად შეფასდა საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან.... ხუთი წლის განმავლობაში თეატრმა მრავალი საუცხოო დადგმა მოგვცა, რომელთაგან აღსანიშნავია „გადასასვლელზე", „ბრმა მუსიკოსი", „რღვევა", „პირველეულის მორჯულება", „ღალატი", „ყაჩა-

ღები", „საპატარძლო აფიშით", „ჟამთაბერის ასული", „სამშობლო", „მისი ცოლი" და სხვ".

გორის თეატრის მუშაობა უკვე ცნობილი გახდა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და მისი საზღვრების იქითაც. მოსკოვიდან ჩამოდის ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სპეციალური ბრიგადა თეატრის შემოქმედებითი მუშაობის შესასწავლად, რომელიც ადგილზე რწმუნდება ამ თეატრის ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობაში. ამის შემდეგ გაზეთ „კომუნისტის" 1944 წლის 24 სექტემბრის № 194-ში ვკითხულობთ:

„სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა განიხილა გორის დრამატული თეატრის კოლექტივის მუშაობა. აღნიშნულია, რომ ეს თეატრი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი რაიონული თეატრია. იგი ფართო პოპულარობით სარგებლობს ექსკურსანტთა შორის, რომელნიც ჩამოდიან ამ ქალაქში.

ხელოვნების საქმეთა კომიტეტის ბრიგადამ, რომელმაც გორის თეატრის მუშაობა შეისწავლა, მაღალი შეფასება მისცა ამ თეატრს. განსაკუთრებით აღნიშნულია ამხ. თ. ..აბაშიძის, ივერიელის, კალანდარიშვილის, ხაჟალიას, ვაჩნაძისა და თეატრის სხვა მოღვაწეთა წარმატება რესპუბლიკის სახალხო არტისტის პავლე ფრანგიშვილის მეთაურობით. ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სათეატრო სამმართველოს მუშაკთა აზრით, გორის თეატრის რეპერტუარის მრავალფეროვანი თემატიკა მისი ხელმძღვანელობის მაღალკულტურას მოწმობს.

ხელოვნების საქმეთა კომიტეტის გადაწყვეტილებით გორის თეატრი გადაყვანილია სახელმწიფო თეატრების ერთ-ერთ მაღალ კატეგორიაში" (მე-III-დან მე-II კატეგორიაში).

1945 წლის 9 მაისს საბჭოთა ხალხმა გამარჯვებით დაამთავრა სამამულო ომი. ხელოვნების წინაშე, კერძოდ თეატრალური ხელოვნების წინაშე ამიერიდან იბადება ახალი ამოცანები. საბჭოთა გმირი ხალხი, რომელიც შეუპოვრად ებრძოდა მტერს და ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, ახლა ებმება მშვიდობიან შრომაში, იგი ამიერიდან იბრძვის შრომის ფრონტზე. მაგრამ თეატრი ხომ არ შეიძლება განზე დარჩეს ამ საქმისაგან? თეატრმაც ხომ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა ახალ საწყისებზე.

დღემდე თუ სცენაზე იყვნენ საბჭოთა მეომრები, სამშობლოსათ-

ვის თავგანწირული პატრიოტი·· ადამიანები და გამარჯვებისათვის იბრძოდნენ, ახლა გამარჯვებულ ქვეყანას უნდა შრომის პატრიოტები, წარმოების მოწინავე ადამიანები. ომგადახდილი საბჭოთა მაყურებლები თეატრში რომ მიელენ, მშობლიური სცენიდან უნდა იხილონ და მოისმინონ სადღეისოდ მწვავე და მღელვარე საკითხებზე დაწერილი პიესები.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სწრაფ წინსვლას, ცხოვრების სწრაფ განვითარებას და საბჭოთა ადამიანების კულტურული დონის წინსვლას, უკანასკნელ ხანებში ჩამორჩა თეატრი, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მაყურებელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. მრავალ თეატრში ნაკლებად ან სულ აღარ იჯგმება საბჭოთა ავტორების თანამედროვე თემებზე დაწერილი პიესები. რაც იდგმება, ისინიც სქემატური და იდეურად დაბალი ხარისხისაა. ეს პიესები არა მარტო ვერ იძლევიან საბჭოთა ხალხის მჩქეფარე შემოქმედებით ცხოვრებას, ისინი ვერ გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანების ტიპიურ სახეებსაც.

იმ დროს პიესების ერთ ნაწილში უარყოფითი ტიპები უფრო ძლიერად იყო დახატული, ვიდრე დადებითი ადამიანები. ზოგი თეატრი კი გატაცებული იყო ისტორიული და ბურჟუაზიული ქვეყნების რეაქციული დრამატურგიის ნაწარმოებებით.

სკკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 26 აგვისტოს ისტორიული დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესებათა ღონისძიებების შესახებ“ — გადაიქცა ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარების და მისი ახალი აღმავლობის მძლავრ ფაქტორად.

ამ დადგენილების საფუძველზე გორის თეატრი აკეთებს სათანადო დასკვნებს. მან თავისი მუშაობა გარდაქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად. თეატრი ზრუნავს ახალი ორიგინალური მაღალიდეური დრამატურგიისათვის და უფრო მეტი ენთუზიაზმით იწყებს თავის შემოქმედებით მუშაობას. მით უმეტეს, რომ მან საკავშირო ავტორიტეტული ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა და ეს კი უფრო მეტად ავალდებულებს.

„ბუნებრივია, — წერს პავლე ფრანგიშვილი, — რომ ჩვენი საბჭოთა მაყურებელი საყვარელი თეატრისაგან მოელის ნიჭიერად შექმნილ მაღალხარისხოვან სპექტაკლებს. ჩვენ გავითვალისწინეთ მაყურებლის მზარდი მოთხოვნილებები და მთავარი ყურად-

ღება დავუთმეთ ჯგნსაღი, მაღალხარისხოვანი რეპერტუარის შერჩევას. თეატრმა თავისი ყურადღება შეაჩერა ისეთ პიესებზე, რომელნიც დამაჯერებლობით დ მკვეთრი ფერებით ხატავენ საბჭოთა ადამიანების გაუტეხელ ნებისყოფას, შრომით მამაცობას, ერთგულებასა და უღრმეს სიყვარულს სამშობლოსადმი. სეზონის პირველი ნახევრის 5 პიესიდან 4 პიესა თანამედროვე თემაზე არის დაწერილი".

დიდი მონდომებით შეუდგა გორის თეატრის კოლექტივი ომისშემდგომ წლებში მუშაობას. გარდა იმისა, რომ მან პირი იბრუნა თანამედროვე პიესებისაკენ, იგი არ ივიწყებს არც კლასიკურ რეპერტუარს. გორის თეატრი საქართველოს სარაიონო და საქალაქო თეატრების სპექტაკლების დათვალიერებაში ერთი პირველთაგანი ჩაება.

„მეორე ჯგუფის თეატრები — გორის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისისა — მომზადებულნი შეხვდნენ დათვალიერებას. განსაკუთრებით ეს ითქმის ბათუმისა და გორის თეატრებზე, რომლებმაც გვიჩვენეს მხატვრული მოწიფულობა, სპექტაკლების დადგმის კულტურა, მსახიობთა ანსამბლურობით თამაში და რეჟისორულად დახვეწილი გემოვნება...

კარგად ჩაატარა დათვალიერება გორის თეატრმა (სამხატვრო ხელმძღვანელი ფრანგიშვილი), ორი სპექტაკლი — მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა" (რეჟ. ს. ვაჩნაძე), რომელიც პირველად ქართულ სცენაზე გორში დაიდგა და გ. ქელბაქიანია „გამოცდები" (რეჟ. პ. ფრანგიშვილი) მეტყველებენ გორის თეატრის კარგ შემოქმედებით პოტენციალზე". (გაზეთი „კომუნისტი", 1948 წ. 10 ივლისის ნომერი).

ამ დათვალიერებაში გორის თეატრმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკირა. შემსრულებელთა შორის მაღალი შეფასება მიიღეს რესპ. სახალხო არტისტმა თ. აბაშიძემ (ვასა ჟელეზნოვა), რესპ. დამსახ. არტისტმა მ. ივერიელმა (ონეშნიკოვა) და ს. კალანდარიშვილმა (ჟელეზნოვი). წარმატებას მიაღწიეს რესპ. დამს. არტისტებმა შ. ხერხეულიძემ და შ. ხაჟალიამ „გამოცდებში".

გორის თეატრი ამავე პერიოდში გასტროლებს აწყობს სტალინირისა და ზესტ-ფონის რაიონებში, სადაც დიდი წარმატებით მიდის მისი სპექტაკლები და თეატრის კოლექტივი მადლობას ღებუ-

ლობს გასტროლების გამოსათხოვარ საღამოზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისაგან.

„გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრი 24 სექტემბერს იწყებს თავისი არსებობის მე-10 წლის სეზონს, — აღნიშნავს „სტალინელის“ 1948 წლის 28 სექტემბრის ნომერში პ. ფრანგიშვილი,—ცნობილია, რომ მუდმივ პროფესიულ თეატრს გორში საძირკველი ჩაეყარა 1939 წლის 22 დეკემბერს. თეატრის კოლექტივი თავის მეათე სეზონს იწყებს იმ რწმენით, რომ იგი გაამართლებს იმ დიდ ამოცანებს, რაც დღეს არის დასახული ხელოვნების მუშაკთა წინაშე“. შემდეგ ჩამოთვლილია ის პიესები, რომლებიც ამ სეზონში უნდა განახორციელოს ამ თეატრმა. როგორც ყოველთვის, მიმდინარე სეზონშიაც, დაასკვნის პ. ფრანგიშვილი, — თეატრი თავის წარმოდგენებს გაიტანს ჩვენი რაიონის საკოლმეურნეო კლუბებშიაც.

თეატრის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა მაღალხარისხოვანი დადგმები უჩვენოს საბჭოთა მაყურებელს“.

კვლავინდებურად ბრწყინვალედ დაამთავრა გორის თეატრმა მე-10 წლის სეზონიც. ყოველ მის ახალ დადგმას გორელი მაყურებლები სიხარულით ხვდებიან. თეატრის კოლექტივი გაძლიერდა და შემოქმედებითად მაღალ დონეზე ავიდა. გორის თეატრის კოლექტივმა აკადემიური თეატრის ხასიათი მიიღო. თეატრმა 10 წლის ძანძილზე განახორციელა მრავალი თანამედროვე ქართული და რუსული, აგრეთვე მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებები, რომელთაც დიდი გამოხმაურება ჰპოვეს, როგორც ადგილობრივ მაყურებელში, ისე რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში.

პავლე ფრანგიშვილმა შექმნა და დააარსა გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. ისე როგორც მერცხალი თავის ბარტყებს დააფრენს ხოლმე, ისე როგორც მზრუნველი მამა შვილებს გამოზრდის და დააბინავებს — ყველას თავის გზაზე დააყენებს, პავლემაც ასე გამოზარდა და შემოქმედებით გზაზე დააყენა გორის თეატრის კოლექტივი, ხოლო თვითონ კი კვლავ ჭიათურაში, შავი ოქროს ქალაქის თეატრში ბრუნდება, იმ ქალაქში, სადაც მან ადრე 14 წელი გაატარა.

თავი მეორე

ისევ ჰიათურაში

კვლავინდებურად, ენთუზიაზმით ჰკიდებს ხელს პავლე ფრანგიშვილი თავის საყვარელ საქმეს. იგი სიხარულით მიდის ჰიათურაში. როგორც პავლე ფრანგიშვილისათვის ეს მხარე არ იყო უცნობი, ისე არც ჰიათურელებისათვის იყო სტუმარი უცნობი! შესანიშნავ ხელოვანს გულღიად შეხვდნენ მაყურებლები. განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდნენ პავლე ფრანგიშვილს მისი მოწაფეები — მიხ. ვაშაძე, გრ. ტყაბლაძე, ს. ცოფაია, მ. კუსიანი, ბ. დურმიშიძე. უფროსი თაობის წარმომადგენელი გ. ნუცუბიძე და სხვანი.

პავლე ფრანგიშვილი ჰიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივს ავსებს ნიჭიერი მუშაკებით და შეუნელებელი ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

ამ სეზონში ჰიათურელების წარმატებებს კიდევ ერთი დიდი საქმე დაემატა, რამაც დიდად აღაფრთოვანა არა მარტო თეატრის კოლექტივი, არამედ მთელი ჰიათურისა და ახლო-მახლო სოფლებისა და რაიონების მოსახლეობა. 1949 წლის 30 ოქტომბერს დიდი ზეიმით გაიხსნა ჰიათურის სახელმწიფო თეატრის ახალი შენობა, რომელსაც საქართველოს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დიდი ქართველი კლასიკოსის აკაკი წერეთლის სახელი მიენიჭა!

რა ბედნიერი დამთხვევაა! პავლე ფრანგიშვილი გორში იწყებს მოღვაწეობას 1939 წელს, როდესაც ახლად გახსნილ გორის თეატრს ცნობილი პოეტის, დრამატურგისა და ქართული პროფესიული თეატრის ფუძემდებლის, გიორგი ერისთავის სახელს ანიჭებენ, ხოლო ახლა კი ათი წლის შემდეგ, ჰიათურაში ჩამოდის ხელმეორედ, როდესაც ჰიათურის ახლადგახსნილ სახელმწიფო თეატრს აკაკი წერეთლის სახელს ანიჭებენ!..

პავლე ფრანგიშვილს მარტო თავისი რეჟისორობით, მსახიობობით და თეატრის ორგანიზატორობით არ შეუტანია თავისი წვლილი სამშობლოს აყვავებისა და კეთილდღეობის საქმეში. და აი, ახლა ჩვენ უნდა ვთქვათ იმაზე, რაზედაც არაფერი უთქვამს შალვა დადიანს, როდესაც მან საიუბილეო სალამოზე თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა პავლეს დამსახურების შესახებ. აქ გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ პავლე ფრანგიშვილის შემოქმედების მეორე მხარეზე, სახელდობრ პავლეს შემოქმედებაზე დრამატურგიის, პოეზიის, მთარგმნელობითი მუშაობის სფეროში.

პავლე ფრანგიშვილმა თავისი მოღვაწეობა ლექსების წერით დაიწყო. მოგეხსენებათ, რომ საქართველო პოეტების ქვეყანაა და, ცხადია, ამას არც პავლე ფრანგიშვილი ჩამორჩენია. მას დაწერილი აქვს არა ერთი ლექსი. იგი თავის ლექსებში უმღერია სამშობლოს თავისუფლებასა და მის უფრო უკეთეს მომავალს.

პავლე ფრანგიშვილმა ლექსების შემდეგ დრამატურგიაშიც სცადა თავისი კალამი. მან პიესად გადმოაკეთა გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი", „სამი სიცოცხლის" სახელწოდებით. პიესა კარგი გამოვიდა და თავის დროზე იდგმებოდა ქართულ თეატრში. ამის შემდეგ პავლე პიესად აკეთებს ნიჭიერი ქართველი ბელეტრისტისა და რომანისტის მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს", რომელსაც თითონვე დგამს ჰიათურის თეატრში. ეს პიესაც თავის დროზე წარმატებით იდგმებოდა.

პავლე ფრანგიშვილს ნათარგმნი აქვს ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი", ტრახტენბერგის „მუნჯი მეზარე" და სხვ.

მაგრამ პავლე ფრანგიშვილს აქვს ორიგინალური პიესებიც — „ქარავანი" და „მოვალეობა". სხვათაშორის „ქარავანი" ერთ-ერთი კარგი პიესა იყო საკოლმეურნეო თემებზე დაწერილ პიესათა შორის. რომელიც დიდხანს იდგმებოდა ჰიათურისა და სხვა თეატრებში. აი, რას წერს გაზეთი „კომუნისტი" თავის 1934 წლის 16 მარტის ნომერში ამ პიესის შესახებ:

„პიესის შინაარსი აღებულია აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის ცხოვრებიდან. იგი შეეხება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საკითხს. საკოლმეურნეო მშენებლობის თანდათანობითი ზრდა, საკოლმეურნეო ვაჭრობის შემოღება, პარტიის ხაზის სწორად გატარებისათვის ბრძოლა, კულაკების პროვოკაცია და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მათი მხრივ წინააღმ-

დეგობის გაწევა, პრაქტიკული მავნებლობის ფაქტები — აი, რაც რელიეფურად მოცემულია პიესაში. ეს მომენტი გასაგებად და ძლიერად არის განვითარებული მთელი პიესის გასწვრივ, ამიტომ პიესა მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევს.

შეიძლება ითქვას, რომ პიესა ათვისებულია თეატრის კოლექტივის მიერ. ამის დამადასტურებელია მსახიობების ერთსულოვანი შეთანხმებული თამაში, რელიეფურად მოკვეთილი პიესის მიზნობრივი მიმართულება და, რაც მთავარია, მიღწეულია პიესის აგება სოციალისტური რეალიზმის მეთოდით".

რაც შეეხება პიესა „მოვალეობას", იგი გადმოკეთებულია ტრახტენბერგის „დუაენის ოპერაციიდან" და მასში ასახულია ომისშემდგომი პერიოდის საფრანგეთის თანამედროვე ცხოვრება. აქ ნაჩვენებია, ერთის მხრივ საფრანგეთის ბურჟუაზია, რომელიც ბრმად მისდევს მარშალის გეგმას და ამერიკელებისათვის დოლარებზე მიყიდია ფრანგი ხალხის თავისუფლება, ხოლო მეორეს მხრივ, დგას კომუნისტური მსოფლმხედველობით გამსჭვალული ფრანგი მეცნიერი პროფესორი ბურდონი, რომელიც საფრანგეთის დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და უკეთესი მომავლის იმედს ფრანგ ხალხზე ამყარებს. ბურდონი იბრძვის საფრანგეთის მშრომელთა მშვიდობიანი და თავისუფალი ცხოვრებისათვის. ბურდონთან ერთად არიან ექიმი პიერი, მოწყალების და ლუიზა, მოხუცი მსახური ფრილერი და სხვ.

პიესა ჰიათურის თეატრში დადგა 1948 წელს რესპ. დამს. არტისტმა გრ. ტყაბლაძემ, რომელსაც დიდი წარმატება ჰქონდა.

პავლე ფრანგიშვილი ავტორია აგრეთვე ვოდევილების — „უიქაა!", „ცრუ დამკვრელი" და მრავალი სხვა სკეტჩების, სცენების, კუპლეტების, ინტერმედიებისა და სხვა საესტრადო ნომრების, რომლებსაც ზოგჯერ თითონ ასრულებდა, ხოლო ზოგჯერ სრულდებოდა სხვათა მიერ. სხვათა შორის პავლე ფრანგიშვილს ეკუთვნის ერთ დროს პოპულარული სიმღერა „ჭლექიანი დღე იყო".

პავლე ფრანგიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი ქართული კულტურისა და სათეატრო ხელოვნების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, როგორც სხვადასხვა ბეჭდვით ორგანოებში, ისე „თეატრსა და ცხოვრებაში". აი რას წერს იგი ერთ-ერთ წერილში, რომელიც ეხება თვითმოქმედ სათეატრო ხელოვნების საკითხებს:

„აგერ ოთხი-ხუთი თვე იქნება, რაც „მუშტაიდში“ სისტემატურად იმართება წარმოდგენები, რაიც მეტად სასიხარულოა ყველასათვის“, — წერდა პავლე ფრანგიშვილი თავის სტატიაში „დემოკრატიული კლუბი „მუშტაიდი“, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „სახალხო ფურცელში“ 1918 წელს.

„დიახ, კიდევ ერთი კაბადონი მიემატა ქართულ თეატრის ისტორიას, — ვკითხულობთ ამ წერილში — ამ მიგდებულ კუთხეშიც გაიდგა ფესვები ხელოვნებამ და ჩაეყარა საძირკველი ქართული წარმოდგენების მართვას.

დემოკრატიულ კლუბში დაარსდა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრე, რომელთაც ამოირჩიეს გამგეობა და შეუდგნენ საქმესმას შემდეგ დაიწყო ამ ყარიბ სცენაზე წარმოდგენების მართვა. რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო, სცენისმოყვარენი, თითქმის ყველა პირველად გამოვიდა კლუბის სცენაზე და დიახაც ღირსნი არიან მადლობისა, რომ ასე სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

დაიდგა ისტორიული, კლასიკური და თანამედროვე პიესები, იყო ხოლმე დეფექტებიც, მაგრამ ეს ეპატიებათ იმიტომ, რომ თეატრი ტექნიკურ მხრით მეტად მოიკოჭლებს და სცენისმოყვარენი გამოუცდელები არიან.

წრე, როგორც ეტყობა, მეტად მუყაითად მუშაობს, შეჰქმნეს საკუთარი აუდიტორია, ყველა წარმოდგენებზე ხალხი ესწრება და დარბაზი სავსეა. იმისდა მიუხედავად, რომ თეატრი საზაფხულოა. ხალხი მაინც არ ერიდება სიცივეს და ყოველთვის სავსეა აუდიტორია, რაიც ამტკიცებს, რომ წრემ (ე. ი. დრამატულმა დასმა) დიდი სიმპათია დაიმსახურა ხალხში. მხოლოდ ერთი რამ არის სამწუხარო: თეატრი ტექნიკური მხრით მეტად ღარიბია, არ აქვს შესაფერი დეკორაციები და რეკვიზიტი და სხვა მრავალი რაიც აუცილებელია სცენისათვის.

რაღა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებში ძნელია ყველა ამის შეძენა, მაგრამ მაინც მოვუწოდებ წრის გამგეობას, რომ კლუბის გამგეობასთან შეთანხმებით შეეცადონ, რამდენადაც კი შეიძლება, ყველა ამის შეძენა.

ამ მეტად სიმპათიურ საქმეში საზოგადოებაც ნუ ჩამორჩება, დავეხმაროთ, შევქმნათ ნამდვილი ხელოვნების ტაძარი, გავაჩალოთ კოცონი, რომელიც ესე ნელა გუზგუზებს... თუ ვისმეს სურს ჩვენი

ბალხის გონებრივად ამაღლება, ამის საუკეთესო საშუალება, დღეს თეატრია, თუ ვისმეს სურს ჩვენი სამშობლო ენის გავრცელება, იგი ამას სცენით მიაღწევს.

და სწორედ ამ მხრივ დემოკრატიული კლუბის თეატრი დიდ იმედს გვინერგავს... იგი დაარსებულია მშრომელთაგან. გამგეობის წევრნი ახალგაზრდა გათვითცნობიერებული მუშაკნი არიან, და ეს სწორედ იმის მომასწავებელია, რომ თეატრი საგანმანათლებლო გზით იცლის, რაკი ერთი თესლი ჩავარდა ნოყიერ ნიადაგში, იქნებ გვიან, მაგრამ მაინც იხარებს და ინაყოფიერებს.

ამიტომ მოვუწოდებ ყველას, ვისაც შესტკივა გული ჩვენი ხალხის წინსვლისათვის, ხელი შეუწყოს დემოკრატიული კლუბის სცენის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას...

ვუსურვებ „მუშტაიდის“ სცენისმოყვარეთ მხნეობას და თავის ნამოღვაწევის კეთილი ნაყოფის ხილვას!“

პავლე ფრანგიშვილი ქართულ თეატრში სასცენო მეტყველების კარგ ოსტატად ითვლება. მისი სცენიდან წარმოთქმული სიტყვა მაყურებლის ყურთასმენას არ ეკარგება, იგი მახვილების სწორი დასმით გამართულად მეტყველებს სცენაზე. პავლე ფრანგიშვილი, როგორც რეჟისორიც დიდ ყურადღებას აქცევს ქართულ სცენაზე ენის სიწმინდეს და საერთოდ სასცენო სწორ მეტყველებას. ეს ნათლად ჩანს მის მიერ დადგმულ სპექტაკლებში. მისი ხელმძღვანელობით არსებულ თეატრებში მართლაც რომ მეტყველება კარგად არის დაყენებული.

„ქართული სცენის ნიჭიერი ტრაგიკოს ალექსანდრე იმედაშვილთან დამეგობრებამ, — წერს პავლე ფრანგიშვილი თავის მოგონებაში, — და მასთან მუშაობამ შემძინა ბევრი რამ სასცენო სწორ მეტყველებაში. ალ. იმედაშვილი ქართულ სცენაზე უბადლო იყო სწორ მეტყველებაში, მან ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა. ალ. იმედაშვილი ყოველთვის ძიებაში იყო, ის ეშვიათი ოსტატობით კითხულობდა ლექსებს, პირველად ალ. იმედაშვილმა დაარღვია ძველი დახავსებული სასცენო მეტყველების ტრადიცია და გამართული ქართული სიტყვით დაატკბო მაყურებლები. ამიტომ მასთან მუშაობამ გარკვეულად მასწავლა და გამარკვია მეტყველების საკითხებში“.

იგონებს რა პატივისცემით თავის მასწავლებლებს, პავლე ფრანგიშვილი თითონაც ასეთ ხერხებს მიმართავს მსახიობის აღზრ-

დაში. იგი ახალისებს ახალგაზრდებს, ეხმარება და გზას უჩვენებს, თუ როგორ უნდა სასცენო ხელოვნების დაუფლებისათვის სისტემატური და გულმოდგინე მუშაობა.

„პავლე ფრანგიშვილს, — წერს რესპ. დამს. არტისტი მ. ჩუბინიძე, — თეატრში ჰქონდა მტკიცე დისციპლინა. მას არ უყვარდა მსახიობების გარჩევა, მისთვის ყველა მსახიობი თანაბრად საყვარელი იყო. პავლეს, როგორც დაჯილდოებულს უდიდესი სცენიური ალღოთი, შეეძლო ერთი შეხედვით ამოეკითხა მსახიობის სახეზე, თუ რა უკრდა მას. მუშაობაში ის აღაფრთოვანებდა და აქეზებდა კიდეც — „ნუ გეშინიან, თამამად და ყველაფერი კარგად იქნებაო“. ასეთმა მამაშვილურმა მოპყრობამ შემიქმნა სიყვარული სცენისადმი და თუ მე დღეს რამეს წარმოვადგენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ საყვარელი პავლეს წყალობით არის“.

„ჭიათურის თეატრში ორ სეზონში მომიხდა მუშაობა. მაშინ დამწყები მსახიობი ვიყავი და ნამდვილი აღმზრდელი პედაგოგი მესაჭიროებოდა. პ. ფრანგიშვილთან პირველი შეხვედრისთანავე ვიგრძენი, რომ ვიპოვე ის, — მოგვითხრობს რესპ. დამსხ. არტისტი ვ. ჩელთისპირელი,—და არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველა ახალგაზრდა მსახიობისათვის. პ. ფრანგიშვილი იყო აღმზრდელი და მზრუნველი მშობელი. მახსოვს, როგორი დაუცხრომელი ენერგიით მუშაობდა ყოველ სპექტაკლზე. თვითონაც იწვოდა და ჩვენც გვწვავდა შემოქმედებითი ცეცხლით. ცალკეული სცენების შესანიშნავი განლაგება, სპექტაკლის შინაგანი რიტმი, მიზანსცენების სიზუსტე და მსახიობების თამაშის ძალდაუტანებლობა, ყოველ ამ საშუალებების შედეგად მართალი ხდებოდა მსახიობის გრძნობა, სიტყვა, მოძრაობა. რაც იშის მომასწავებელი იყო, რომ გამოსულიყო ყოველმხრივ გამართული სპექტაკლი“.

პ. ფრანგიშვილი სამართლიანად მკაცრი იყო და მუშაობაში მომთხოვნი, გაურჩევლად ყველას მიმართ. მიუხედავად ამისა, მის წინაშე თეატრის არცერთი მუშაკი შიშს არა გრძნობდა, არამედ უაღრეს პატივისცემას ამ მეტად თავისებურ და საყვარელ ადამიანისადმი.

„როდესაც პავლე ფრანგიშვილმა თავის დასით დასტოვა თელავი, — წერს თელავის თეატრის მსახიობი გრ. კევლიშვილი, — თელავის საზოგადოების მსჯელობის საგნად დიდხანს იყო მისი გასტროლები. თავისთავად ცხადია, მეც, როგორც ახალგაზრდა მსახი-

ობი, დიდად ვიყავი მოხიბლული და მოჯადოებული პ. ფრანგიშვილის გასტროლებით. მისი წასვლის შემდეგ სულ იმის ნატვრაში ვიყავი: „ნეტავი შემეძლოს მასთან მოხვედრა და მუშაობა მეთქი". ჩემი ნატვრა ასრულდა, 1934 წელს მე მოვხვდი ჭიათურის თეატრში პ. ფრანგიშვილთან... პავლე ფრანგიშვილი მუშაობის პროცესში შეტად მკაცრია, მომთხოვნი, მგზნებარე ტემპერამენტის მქონე. მუშაობის გარეშე კი ბავშვივით გულჩვილი, გულისხმიერი მეგობარი და კეთილშობილი ადამიანი. პავლეს ბევრჯერ უთქვამს: თუ მსახიობს სურს საბჭოთა საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა დაიმსახუროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა სიყვარულით და პატივისცემით მოეპყრას იმ საქმეს, რომელსაც იგი ემსახურება; მსახიობს მუდამ, ყველგან და ყოველთვის, სახლში, ქუჩაში თუ საზოგადოებაში, თავი ზრდილობიანად უნდა ეჭიროს, იყოს მაგალითი თავისი ყოფაქცევით... წარმატების მოპოება მსახიობს შეუძლია მხოლოდ ღრმა ღალავი და შეუპოვარი შრომით, თავისთავზე ბევრი მუშაობით..."

პავლე ფრანგიშვილი ყოველთვის ეხმარება დამწყებ დრამატურგებს და მრავალი მათგანი გაუმხნევებია თავისი რჩევა-დარიგებით. საკმარისია დავასახელოთ ნიჭიერი დრამატურგი ქალი მარიკა ბარათაშვილი. მისი „ჭრიჭინა" პირველად პავლე ფრანგიშვილმა განახორციელა ჭიათურის სცენაზე. აგრეთვე დრამატურგები — გ. მდივანი, გ. გაბუნია, კ. ბუაჩიძე, გ. დარისპანაშვილი, ალიო ადამია, ახალგაზრდა რეჟისორები — ს. ცომაია, ს. ვაჩნაძე, ო. ალექსიშვილი და სხვ.

პავლე ფრანგიშვილი გარდა იმისა, რომ ის ნიჭიერი და მეტად ნაყოფიერი შემოქმედია, იგი არის აგრეთვე შესანიშნავი მეოჯახე ადამიანი. პავლეს გვერდში უდგა წლების მანძილზე და მასთან ერთად ეწევა ქართული თეატრის განვითარება-აყვავების ჰაპანს მისი მეუღლე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ აბაშიძე. თამარ აბაშიძე, იგონებს რა თავის მოღვაწეობას თეატრში, წერს: „ეს იყო 1913 წელს. თეატრით მოჯადოებულმა სცენაზე შევდგი ფეხი. ეს ის დრო იყო, როცა გასაქანი არ ჰქონდა ნათელ აზრს, როცა საღ გონებას უხშობდნენ ადამიანს, სდევნიდნენ მას, ცოტა ტანჯვა და დამცირება როდი გადავიტანეთ ჩვენც, მაშინდელი ჩვენი პატარა თეატრის მცირე კოლექტივმა.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მომეცა სრული შესაძლებლობა ნაყოფიერი შემოქმედებითი



პ. ფრანგიშვილი ჰიათურის სტალინის სახ. მაღაროს სამმართველოს კლუბში ესაუბრება მოწინავე მაღაროელებს



პიათურის თეატრის კოლექტივი რიჩა—ლეჩხუმში გასტროლების დროს საქ. თეატრალური საზოგადოების გამსვლელი სესიის მონაწილეებთან ერთად

მუშაობისა. ჩვენს დიად ეპოქაში ხომ ყოველმხრივ შესაძლებელია ნიჭისა და აზროვნების განვითარება, მისი გაფურჩქვნა და აყვავება.

დავტოვე ჰიათურის თეატრი, რომლის სცენიდან პირველად ჩემი ხმა ამ 28 წლის წინათ გაისმა. უდიდესი სიხარულით გადმოვედი სამუშაოდ ქალაქ გორში, სახელმწიფო თეატრში. ეს ერთი წლის წინათ იყო. ამ ხნის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ჩვენი თეატრის კოლექტივმა.

პირველად მოგვიხდა გორელ მაყურებელთა წინაშე გამოსვლა. ჩვენი პირველი დადგმით საბჭოთა მაყურებელმა მჭუხარე ტაშითა და ოვაციით დაგვაჯილდოვა. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა შემდგომი მუშაობის მთელ მანძილზე. ამიტომაც მთელი ენერგიით გავშალეთ ნაყოფიერი, მრავალმხრივ შემოქმედებითი მუშაობა.

უდიდეს ყურადღებას ვაქცევ ჩვენი თეატრის ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეს, გულმოდგინედ ვეხმარები მათ თეატრალური ხელოვნების სრულყოფილად დაუფლებისათვის. ჩემი რჩევის და პრაქტიკული დახმარების შედეგად, მრავალი ახალგაზრდა მსახიობი დაწინაურდა და გახდა საბჭოთა სცენის მოწინავე მუშაკი".

ასეთი ხელოვანი დედ-მამის ოჯახში აღიზარდნენ მათი შვილები, რომლებიც ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ მუშაობენ. პავლეს უფროსი ვაჟი თენგიზი გრიბოედოვის სახ. თეატრში სადიპლომო სპექტაკლის — ალ. კრონის „ღრმა დაზვერვის" წარმატებით დადგმის შემდეგ ჩარიცხული იქნა რეჟისორად მოსკოვის ერთ-ერთ წამყვან თეატრში — მოსკოვის საბჭოს თეატრის კოლექტივში, რომელსაც ს. კავშირის სახალხო არტისტი ი. ზავადსკი უდგას სათავეში. თენგიზი ხშირად გამოდის ამავე თეატრის სცენაზე მსახიობადაც.

თავი მეცხრე

კვლავ ჯაბუკური ენერგიით

პავლე ფრანგიშვილს მთელი რიგი წლების მანძილზე როგორც გორში, ისე ჭიათურაში ყოველთვის ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ერთგანაც და მეორეგანაც არ ჩაკარებულა მისი იქ ყოფნის პერიოდში არცერთი აღსანიშნავი ღონისძიება, რომელშიც პავლე ფრანგიშვილს მსურველად მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას.

პავლე ფრანგიშვილი უყვართ გორელებს, გორელ კოლმეურნეებს, რადგან იგი არა მარტო ქალაქ გორისა, არამედ გორის რაიონის და ახლო-მახლო რაიონების კოლმეურნე მშრომელებსაც ატკბობდა თავისი სპექტაკლებით. ბევრ შემთხვევაში გორის თეატრს უფასოდაც უჩვენებია თავის სპექტაკლები.

ასევე უყვართ პავლე ფრანგიშვილი ჭიათურის მაღაროელებს; პავლე სისტემატურად ეწმარება თავისი რჩევა-დარიგებით ჭიათურის მაღაროებთან არსებულ კულტურის სახლებსა და კლუბებთან არსებულ თვითმოქმედ წრეებს.

პ. ფრანგიშვილის სიმღერას არა ერთი მსმენელი მოუხიბლავს. აი რას წერს ცნობილი მწერალი ქალი მარიეტა შაგინიანი გაზეთ „პრავდაში“ თავის ნარკვევში — „გორის კოლმეურნეობებში“:

„როდესაც დღის ბოლოს უელმოღერებულმა ივანე მიხეილის-ძემ (ლაპარაკია გორის რაიონის სოფ. თორტიზას კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარე ივანე მიხეილის-ძე ჯანეზაშვილზე) მოულოდნელად ბავშვური წკრიალა ხმით შემოსძახა ძველებური სიმღერა, მაშინვე მას აყვა კიდევ სამი ხმა. და ამ ქართველმა კლასიკურმა ოთხხმიანმა სიმღერამ მთელი ოთახი აავსო. ეს იყო ძველი

კულტურის სიმღერა, მისი ნათელი გამოხატულება: ნარნარა, შემპარავი იუმორით, გულკეთილობის, მეგობრობის გრძნობებით, ფილოსოფიური ლირიზმით. ჩვენთან ერთად მაგიდას უჯდა საქართველოს ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობთაგანი, გორის თეატრის რეჟისორი პ. ი. ფრანგიშვილი. მან ხმის ინტონაციის შეუდარებელი რაკრაკით დაიწყო სიმღერა. იგი ბგერების ჟესტიკულაციით გამოთქვამდა თუ ერთმანეთს როგორ გადასძახებენ ხოლმე კოლმეურნე ბრიგადირები შინდვრად მუშაობის დროს და თვალებმოხუჭულს უნდა გესმინა ეს ინტონაციით მდიდარ ბგერათა ჟღერა, რომ ამ სიმღერის სილრმეს ჩაუვდომოდი"...

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თავდადებული შრომისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ პაველ ფრანგიშვილს მინიჭებული აქვს — 1934 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, 1937 წელს — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1941 წელს — საქ. სსრ სახალხო არტისტის სახელწოდება. პაველ ფრანგიშვილი დაჯილდოვებულია შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით „1941—1945 წ. წ. სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და „კავკასიის დაცვისათვის".

ასეთია ამ შესანიშნავი ხელოვანის, თავის საშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანის პაველ ფრანგიშვილის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განვლილი გზა.

ახლაც პაველს გულში კვლავ ჩქეფს ისევ ისეთივე ახალგაზრდული შემოქმედებითი ცეცხლი, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ. მისი გრუზა შეუერცხლილი თმები, თითქოს ისევ შავ გიშერს დამსგავსებია და ისევე ბრწყინავენ, როგორც ამ ოციოდე წლის წინათ.

პაველ ფრანგიშვილი ყველაფერს გააკეთებს, რათა სახელოვნად ატაროს ჭიათურის თეატრის კოლექტივი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, რომელსაც ერთხელ მან თვითონ ჩაუყარა საძირკველი და მოწინავე თეატრების რიგში ჩააყენა.

ჩვენ კვლავ გვახსენდება პ. ფრანგიშვილის იუბილე. მომხსენებელმა სიტყვა დაამთავრა. ტაშის გრიალი ხელმეორედ ატყდა. იუბილარი, რომელიც ჩაფიქრებული იყო და მის მიერ განვლილ მოგონებათა ბურანში იყო გახვეული, ტაშ-ს გრიალმა გამოაფხიზლა. იგი წამოდგა და დამსწრეებს თავი დაუკრა, ისევ სკამზე ჩამოჯდა.

მისასალმებელი სიტყვებით გამოსულ ორატორს ორატორი

ცვლის. საჩუქარი საჩუქარზე მოდის. 7 ოქროს საათი უკვე მოგროვდა. რადიომიმღები პრეზიდიუმის მაგიდაზე შემოდგეს. პრეზიდიუმის მაგიდა ცოცხალმა ყვავილებმა და საჩუქრებმა დაფარეს.

ქართული ანდაზაა — „რასაც დასთესავ, იმას მოიკიო". ეს სწორედ ახლა პაველ ფრანგიშვილზე ითქმის. მან ხომ სიკეთე დათესა თავის საყვარელი საშობლოს წინაშე. იგი ხომ ხელოვნების ჯარისკაცი იყო 40 წლის მანძილზე. თეატრს იცავდა თვალისჩინივით და მის განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა!. და აი, ახლა იმ. კის პაველ ფრანგიშვილი თავის დათესილ სიკეთეს. იგი დაფასა ხალხმა, რომელსაც იგი ემსახურებოდა და ხელისუფლებამ, რომელმაც სახელოვან შემოქმედს სასცენო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე მოუწყო.

ტრიბუნაზე კვლავ ორატორს ორატორი ცვლის. პაველ ფანგიშვილს ულოცავენ მისი მოწაფეები, მას ულოცავენ ჰიათურის მა. განეცის მოწინავე მუშები, ინტელიგენცია, მოსწავლეები. პაველს ულოცავენ საქართველოს თითქმის ყველა თეატრიდან და ყველა რაიონიდან, საიდანაც 300-ზე მეტი დეპეშაა მოსული. კითხულობენ დეპეშების ტექსტს:

„პაველ! მე შენი პირველი გაკოსვლა მახსოვს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში, — წერს მისასალმებელ დეპეშაში პოეტი — აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი იოსებ გრიშაშვილი. — ეს იყო 1910 წელს. მე მაშინ ოქ პატარა დასი მყავდა. პირველად მე გაკურთხე, მე გაგბანე სცენის მტვერში, მე შეგაყვარე სცენა...

პაწაწინა ბიჭი იყავ,
გამჭრიახი, ნიჭით სავსე,
ამიტომაც ჩემი დასის
ბცირე ჯგუფში მოგათავსე...
რა კარგია მოგონება!
რა კარგია სიჭაბუკე!
ჩემს „ტიმოთეს ლეღვში" გახსოვს?
თამაშობდი ჩემზე უკეთ.
დღეს დაბერდი? ეგ გრუზათმა
ვერცხლის ფერად ალამაზდა?
რათა ბიჭო, მე კიდევ — „ჰო",
შენ ხომ იყავ ახალგაზრდა?!".

დარბაზი ჰქუხარე ტაშის გრიალმა გააყრუა. იუბილარი მღელვარებამ ატანა.

ტრიბუნაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ემანუილ აფხაიძეა, იგი მიესალმება იუბილარს რუსთაველის სახ. თეატრის კოლქტივის სახელით, იმ თეატრის, რომელშიაც ერთ დროს პავლეც ირიცხებოდა მსახიობად.

„ძვირფასო პავლე! — წერს თავის მისასალმებელ დეპეშაში ქართული სცენის მშვენება უშანგი ჩხეიძე, — 40 წლის მოღვაწეობა საყვარელ მშობლიურ სცენაზე დიდი და საპატიო საქმეა. მე მახსოვს ჯერ კიდევ ახალგაზრდული თქვენი გატაცება თეატრალური ხელოვნებით, როდესაც ჩვენ ერთად გვიხდებოდა მუშაობა თბილისის მუშათა კლუბებში, და აი, თქვენი შეუპოვარი, თავდადებული შემოქმედებით საპატიო ადგილი დაიკავეთ ხელოვნების მოწინავე ოსტატთა შორის.

დიდად დასაფასებელია, რომ ეს ხასიათებით მარგანეცის ქალაქის მშრომელებს, ხელმძღვანელობთ რა ერთ-ერთ მოწინავე თეატრს, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს. გისურვებ ნაყოფიერ შრომას და შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს გზაზე. შენი უშანგი ჩხეიძე“.

დარბაზში ტაში გრიალებს. იუბილარი ფეხზე წამოდგა, მას თვალებიდან სიხარულის ცრემლები ჩამოუგორდა. ტაშის გრიალი გაძლიერდა. დეპეშების ტექსტების კითხვა მთავრდება.

იუბილარი მართალია ღელავს, მაგრამ თავისი მოზღვავებული გრძნობა ხომ უნდა გამოთქვას, მის დამფასებელ საზოგადოებას, პარტიას, მთავრობას, მეგობრებს მადლობა ხომ უნდა გადაუხადოს! და აი, მართალია ეძნელება პავლეს, მაგრამ იგი მაინც ამბობს სამადლობელ სიტყვას.

„პატივცემულო მეგობრებო! მე არ დავღლი თქვენს ყურთასმენას. მე დიდ მადლობას მოვახსენებ აქ დამსწრე საზოგადოებას, მათ, ვინც გულწრფელად მოპილოცა სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის გამო.

დიდი მადლობა პარტიას და მთავრობას, რომელთაც დააფასეს ჩემი მუშაობა და მოაწყეს ჩემი სასცენო მუშაობის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

მე როდესაც გადავხედავ ხოლმე ჩემს წარსულ ნამუშევარს, ვგრძნობ, რომ ჯერ კიდევ ცოტა მაქვს გაკეთებული...

ნება მომეცით კიდევ გადაგიხადოთ დიდი მადლობა სიტყვით, ხოლო საქმით კი გადაგიხადოთ ჩემი შემდგომი შემოქმედებით“...

პაველ ფრანგიშვილმა ბევრი რამ გააკეთა ამ ორმოცი წლის მანძილზე ქართული თეატრის განვითარებისათვის.

მაგრამ ამით კიდევ არ ამოწურულა მისი შემოქმედება. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მასში ჯერ კიდევ გიზგიზებს ახალგაზრდული შემოქმედებითი ცეცხლი. და, რადგან ასეა, ჩვენ კიდევ უნდა მოველოდეთ პაველ ფრანგიშვილისაგან ახალ-ახალ წარმატებებს, რომელნიც გაამდიდრებენ ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

თ ა ვ ი I. განვლილი წლების მოგონებანი 3
თ ა ვ ი II. დრამატული კურსების დასწვალე 11
თ ა ვ ი III. პირველი ნაბიჯები 15
თ ა ვ ი IV. დიდი ქარტეხილის შემდეგ 25
თ ა ვ ი V. პიათურის თეატრში 32
თ ა ვ ი VI. დაოსტატებისაკენ 38
თ ა ვ ი VII. ჯ ო რ შ ი 47
თ ა ვ ი VIII. ისევ პიათურაში 58
თ ა ვ ი IX. კვლავ პაბუკური ენერგიით 66

რედაქტორი გ. ნატროშვილი
მხატვარი ს. ღამბაშიძე
კორექტორი ლ. ლომთათიძე
ტექრედაქტორი გ. იამანიძე

გადაეცა წარმოებას 5/VIII-55 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/I-56 წ.
ანაწყობის ზომა 6×9½. ქაღალდის ზომა 60×92, ნაბეჭდ ფორმათა
რაოდენობა 5, უე 00207. ტირაჟი 3000 შეკვ. № 1118.

პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат „Коммунисти", Тбилиси, ул. Ленина 14.